კარიესის ინტენსივობის შესაფასებლად სქესის მიხედვით გამოიყო ჯგუფები და შედარდა სამიზნე ცვლადების მიხედვით. აღნიშნული ცვლადები აღმოჩნდა არაპარამეტრული მონაცემები. მათ შესადარებლად გამოყენებულ იქნა არაპარამეტრული კრუსკალ-უოლესის ტესტი. სტატისტიკურად სანდო განსხვავება აღინიშნა ($p=0,00, p<0,01$) დაბუქნილი და ამოღებული კბილების ($p=0.003, p<0.05$) შემთხვევაში, თუმცა ასეთი სანდო სხვაობა არ აღმოჩნდა კარიესით დაზიანებული კბილებთან მიმართებაში ($p=0,828, p>0.05$.) შედეგები წარმოდგენილია ცხრილში (ცხრილი 13):

ცვლადი	ასაკი(საშუალო სტანდარტ. გადახრა)		სტატისტიკურად სანდო განსხვავება
	ქალი (1289)	მამაკაცი (1081)	
კბა	11.76±7.2	11.25±8.2	$p=0.000$
კბა-ზ	41.59±36.3	43.11±40.7	$p=0.038$
კ	2.8±2	2.77±3.05	$p=0.828$
ა-კარიესი	4.49±5.7	4.42±6.27	$p=0.003$
ბ	2.17±2.78	1.15±2	$p=0.000$

ცხრილი 13. კარიესის ინტენსივობა სქესის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, კარიესის ინტენსივობა ზომიერია როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში და უმთავრესად განისაზღვრა ამოღებული კბილების რაოდენობით, ხოლო დაბუქნილი კბილების საშუალო მაჩვენებელი დაბალი აღმოჩნდა ორივე სქესში და უფრო დაბალი მამაკაცებში ვიდრე ქალებში, რაც მეტყველებს ადამიანთა ნაკლებ მიმართვიანობაზე რესტავრაციული მკურნალობის ჩასატარებლად.

ასაკის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფები ასევე შედარდა კრუსკალ -უოლესის ტესტის საშუალებით. შედეგებმა გვაჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ($p=0.00, p<0.01$)(ცხრილი 14):

ცვლადები	ასაკობრივი ჯგუფი (საშუალო სტანდარტ. გადახრ.)				სტატისტიკურად სანდო განსხვავება
	20-34წ (797)	35-44წ (469)	45-64წ (855)	65-74წ (249)	
კბა	7.02±4.55	10.09±5.37	14.18±7.71	19.61±8.9	p=.000
კბა_ზ	14.87±13.26	33.28±22.43	59.01±38	89.53±42.45	p=.000
კ	3.62±3.17	3.16±3	2.26±2.77	1.18±2.32	p=.000
ა_კარიესი	1.11±1.77	4.26±3.64	6.53±6.47	8.45±9.61	p=.000
ბ	2.25±2.62	2.29±2.9	1.28±2.21	.34±1.13	p=.000

როგორც ცხრილიდან ჩანს, კარიესის ინტენსივობა დაბალია პირველ ასაკობრივ ჯგუფში (20-34წწ), ხოლო მეოთხე ასაკობრივ ჯგუფში (64-74 წწ) ის მაღალი აღმოჩნდა და ძირითადად განისაზღვრა კარიესის და მისი გართულებების შედეგად დაკარგული კბილების მაღალი მაჩვენებლით.

სქესისა და ასაკის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში განისაზღვრა კარიესის გავრცელება. შედეგები წარმოდგენილია ცხრილში (ცხრილი 15):

	სქესი			ასაკი				
	მამაკაცი	ქალი	სულ	20-34წ	35-44წ	45-64წ	65-74წ	სულ
	(1081)	(1289)	(2370)	(797)	(469)	(855)	(249)	
არ არის კარიესი	21	11	32	27	4	1	0	32
არის კარიესი	1060	1278	2338	770	465	854	249	2338
სულ	1081	1289	2370	797	469	855	249	2370

$\chi^2=4.434, p=0.03, p<0.05$	$\chi^2=31.612, p=0.00, p<0.01$
--------------------------------	---------------------------------

ცხრილი 15. კარიესის გავრცელება ასაკისა და სქესის მიხედვით

როგორც ცხრილიდან ჩანს, კარიესის გავრცელება ოდნავ მეტია ქალებში(99.1) ვიდრე მამაკაცებში (98.1), ყველაზე დაბალი(96%) აღმოჩნდა პირველ ასაკობრივ ჯგუფში (20-34წწ) სხვა ჯგუფებთან შედარებით (99-100%.) მონაცემები სტატისტიკურად სანდოა ($p<0.05$)($p<0.01$).

პაროდონტის დაავადებების გავრცელების შეფასებისას საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში ასაკისა და სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი იყო შეგვეფასებინა ნადების, ქვისა და პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსები. ამისათვის სქესისა და ასაკის მიხედვით გამოყოფილი ჯგუფები შედარდა ჰიგიენური ინდექსის მაჩვენებლების მიხედვით. მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში (ცხრილი 16):

ცვლადები	სქესი (საშუალო სტანდარტ. გადახრ.)		სტატისტიკურად სანდო განსხვავება
	ქალი(1289)	მამაკაცი (1081)	
ნადების ინდექსი	.31±.48	.71±.81	$p=0.000$
ქვის ინდექსი	.23±.34	.51±.7	$p=0.000$
პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსი	.54±.76	1.22±1.43	$p=0.003$

ცხრილი 16. პირის ღრუს ჰიგიენური სტატუსი სქესის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში

პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსის საშუალო მაჩვენებლის მნიშვნელობა მიუთითებს ქალებში პირის ღრუს კარგ ჰიგიენურ მდგომარეობაზე, ხოლო მამაკაცებში ის განისაზღვრა როგორც დამაკმაყოფილებელი.

ასაკის მიხედვით გამოყოფილი ჯგუფებში სამიზნე ცვლადები აღმოჩნდა არაპარამეტრული მონაცემები(ისევე როგორც სქესის შემთხვევაში). ამიტომ მათ შესაძარებლად გამოყენებულ იქნა კრუსკალ უოლესის და χ^2 ტესტები . ანალიზმა აჩვენა, რომ თითოეული ჯგუფი სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან სამიზნე ცვლადების მიხედვით($p=0.00, p=0.003, p<0.01$) (ცხრილი 17)

ცვლადები	ასაკობრივი ჯგუფი (სამსტანდარტ. გადახრ.)				სტატისტიკურად სანდო განსხვავება
	20-34 (797)	35-44 (469)	45-64 (855)	65-74(249)	
ნადების ინდექსი	.45±.63	.58±.8	.47±.62	.33±.57	$p=.000$
ქვის ინდექსი	.24±.44	.43±.67	.38±.5	.3±.52	$p=.000$
პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსი	.69±.99	.99±1.36	.85±1.1	.64±1.07	$p=.000$

ცხრილი 17. პირის ღრუს ჰიგიენური სტატუსი ასაკის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში

ოთხივე ასაკობრივ ჯგუფში პირის ღრუს ჰიგიენა შეფასდა როგორც დამაკმაყოფილებელი.

პაროდონტალური სტატუსის და პაროდონტის დაავადებების გავრცელების დასადგენად ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფები შედარდა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: სისხლდენა შეხებისას, პაროდონტალური ჯიბეების სიღრმე, პაროდონტის ქსოვილების ანთებითი და არაანთებითი დაზიანება. ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება აღნიშნული ცვლადების მიხედვით ($p=0.00, p<0.01$). (ცხრილი 18,19):

პაროდონტალური სტატუსი	ქალი(1289)		მამაკაცი(1081)		სულ(2370)	
	სიხშირე	%	სიხშირე	%	სიხშირე	%
ჯანმრთელი	547	42.5%	358	33.1%	905	38%
არაჯანმრთელი	742	57.5%	723	66.9%	1464	62%

სისხლდენა	480	37.2%	596	44.9%	965	41%
არ არის სისხლდენა	809	62.8%	485	55.1%	1405	59%
პაროდონტალური ჯიბეები						
არ არის ჯიბე	766	59.4%	575	53.2%	1341	56%
0-3მმ	470	36.5%	425	39.3%	895	38%
4-5მმ	46	3.6%	71	6.6%	117	5%
6-8მმ	7	0.5%	10	0.9%	17	1%
კბილ-ღრმ. შეერთ. დარღვევა						
არ არის	734	56.9%	514	47.5%	1248	53%
0-3მმ	499	38.7%	483	44.7%	982	41%
4-5მმ	49	3.8%	72	6.7%	121	5%
6-8მმ	7	0.5%	12	1.1%	19	1%
ანთება	707	54.8%	662	61.2%	1368	58%
არ არის ანთება	582	45.2%	419	38.8%	1001	42%
p<0.01, p=0.00						

ცხრილი 18. პოპულაციის პაროდონტალური სტატუსი სქესის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში.


პაროდონტალური სტატუსი	ასაკობრივი ჯგუფი								სულ (2370)	
	20-34 (797)		35-44 (469)		45-64 (855)		65-74 (249)		N	%
	N	%	N	%	N	%	N	%		
ჯანმრთელი	472	59.2	178	38,0	195	22.8	60	24.1	905	38%
არაჯანმრთელი	325	40.8	291	62,0	660	77.1	189	75.9	1464	62%
სისხლდენა	306	38.4	220	46.9	366	42.8	73	29.3	965	41%
არ არის	491	61.6	249	53.1	489	57.2	176	70.7	1405	59%
სისხლდენა										
პაროდ.ჯიბე										
არ არის ჯიბე	717	90.0	255	54.4	278	32.5	91	36.5	1341	56%
0-3მმ	78	9.8	202	43.1	484	56.6	131	52.6	895	38%
4-5მმ	2	0.3	10	2.1	80	9.4	25	10.0	117	5%
6-8მმ	0	0	2	0.4	13	1.5	2	0.8	17	1%
კბილ-ღრმ. შეერთ. დარღვევა										
არ არის	718	90.1	253	53.9	217	25.4	60	24.1	1248	53%
0-3მმ	77	9.7	204	43.5	541	63.3	160	64.3	982	41%
4-5მმ	2	0.3	10	2.1	82	9.6	27	10.8	121	5%
6-8მმ	0	0	2	0.4	15	1.8	2	0.8	19	1%

ანთება	325	40.8	289	61.6	597	69.7	158	63.5	1368	58%
არ არის ანთება	472	59.2	180	38.4	258	30.3	91	36.5	1001	42%
p<0.01, p=0.00										


ცხრილი 19: პოპულაციის პაროდონტალური სტატუსი სქესის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, არაჯანმრთელი პაროდონტალური სტატუსი აღინიშნა მამაკაცთა 66,9%-ში და ქალების 57,5%-ში, სისხლდენა პაროდონტალური ზონდით შეხებისას შეინიშნა მამაკაცების უმეტესობაში (44,9%) ქალებთან შედარებით (37,2%), ისევე როგორც პაროდონტალური ჯიბეები და კბილ-ღრძილოვანი კავშირის დარღვევა. ასაკობრივ ჯგუფებში არაჯანმრთელი პაროდონტი ყველაზე ნაკლებად პირველ ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა, ისევე როგორც პაროდონტალური ჯიბეები და კბილ-ღრძილოვანი კავშირის დარღვევა. აღნიშნული ცვლადები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიხშირით იქნა წარმოდგენილი მეორე და მესამე ასაკობრივ ჯგუფებში.

ასაკისა და სქესის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში ასევე განისაზღვრა ანთებადი და არანთებადი დაავადებების გავრცელება. შედეგები წარმოდგენილია დიაგრამაზე (დიაგრამა 8,9):




დიაგრამა 8. პაროდონტის ანთებითი და არანთებითი დაავადებების პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით



დიაგრამა 9. პაროდონტის არაანთებითი დაავადებების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.


როგორც აღმოჩნდა, პაროდონტის ანთებადი და არაანთებადი დაზიანება უფრო ხშირია მამაკაცებში ვიდრე ქალებში, ხოლო ასაკობრივი ჯგუფებიდან ყველაზე მეტი სიხშირით 45-64წწ და 65-74წწ ასაკის ადამიანებში, რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია სხვადასხვა რისკ-ფაქტორებთან, უმთავრესად კი ორგანიზმის ინდივიდუალურ ასაკობრივ და სქესობრივ თავისებურებებთან და ასევე ქცევით ფაქტორებთან.

სტატისტიკურად სანდო მონაცემები მივიღეთ ასაკობრივი ჯგუფების შედარებისას პაროდონტის მდგომარეობის, სისხლდენის არსებობის მიხედვით. ($p=0.00$ $p<0.01$) შედეგები წარმოდგენილია დიაგრამაზე (დიაგრამა 10):



დიაგრამა 10. პაროდონტის მდგომარეობა და სისხლდენა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით(%)

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით პაროდონტალური ჯიბეების შეფასებისას კი გამოიყო 4 ჯგუფი პაროდონტალური ჯიბეების სიღმის მიხედვით (დიაგრამა 11):



დიაგრამა 11. პაროდონტალური ჯიბეების სიღრმე ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით (%)

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სხვადასხვა სიღრმის პაროდონტალური ჯიბეები ყველაზე მეტი სიხშირით იქნა წარმოდგენილი მეორე და მესამე და მეოთხე ასაკობრივ ჯგუფებში, მაშინ როდესაც პირველი ასაკობრივი ჯგუფის პოპულაციის 90% პაროდონტალური ჯიბეების არარსებობით გამოირჩეოდა .

3.4 სტომატოლოგიურ დაავადებათა ტერიტორიული განაწილება(რეგიონების მიხედვით) და თავისებურებები საკვლევ პოპულაციაში

როგორც ავლიშნეთ, კვლევა ჩატარდა საქართველოს 9 რეგიონში და დედაქალაქში. კბილის მაგარი ქსოვილების დაავადებების გავრცელების შესაფასებლად განისაზღვრა ამ დაავადებათა პრევალენტობა და ინტენსივობა რეგიონების მიხედვითაც. რეგიონები შედარდა კბა, კბა_ზ ინდექსებისა და კ, ა_კარიესი და ბ მაჩვენებლების მიხედვით .

კრუსკალ-უოლესის ტესტი იქნა გამოყენებული რეგიონების მიხედვით გამოყოფილი ჯგუფების შესადარებლად, რომელმაც აჩვენა, რომ ჯგუფები სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან ($p = 0.000$, $p < 0.01$)(ცხრილი 20):

რეგიონები (საშ.სტანდ.გადახრა)	ცვლადები				
	კბა	კბა_ზ	კ	ა_კარიესი	ბ
თბილისი(385)	11.64±7.8	13.26±40.35	2.41±2.7	4.52±6.54	2.28±2.09
მცხეთა-მთიანეთი (161)	13.26±5.97	43.72±30.27	4.26±3.51	4.07±4.1	2.62±3.05
გურია(170)	12.79±8.92	48.98±43.53	2.35±2.83	5.49±7.42	1.86±2.71
სამცხე-ჯავახეთი (191)	12.62±8.44	45.38±41.8	3.52±3.51	5.31±6.97	1.24±1.97
შიდა ქართლი (210)	12.03±7.22	42.49±36.16	2.69±2.98	4.90±6.39	2.39±2.8
აჭარა (230)	12.23±7.89	46.53±40.55	2.32±2.91	5.32±6.73	1.76±2.43
კახეთი(230)	9.86±7.02	36.00±34.57	2.77±2.86	3.00±4.01	1.68±2.32
სამეგრელო (252)	10.54±7.95	38.81±40.21	2.56±2.67	4.15±6.12	1.20±1.77
ქვემო ქართლი (250)	10.96±7.07	40.97±34.73	2.57±2.97	4.96±5.6	1.60±2.38
იმერეთი(291)	10.79±7.63	41.96±37.63	3.05±3.1	3.42±4.21	.67±1.39

ცხრილი 20. კარიესის ინტენსივობა რეგიონების მიხედვით.

როგორც აღმოჩნდა, კარიესის ინტენსივობა საშუალოა ყველა რეგიონში თუმცა ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამოღებული და დაბუენილი კბილების რაოდენობის მიხედვით, რაც რეგიონებით განსხვავებული მოსახლეობის მიერ სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

სტატისტიკურად სანდო სხვაობა აღინიშნა რეგიონებში ავადობის სხვადასხვა მნიშვნელობების მიხედვით (ცხრილი 21):

რეგიონი	კბა<5.0	კბა=5,0-8.9	კბა=9.0-13.9	კბა>13,9
თბილისი	13.5%	8.8%	46.0%	31.7%
მცხეთა	3.1%	5.6%	42.2%	49.1%
გურია	11,2%	10.0%	41.8%	37.1%
სამცხე- ჯავახეთი	11.5%	9.9%	44.0%	34.6%
შიდა ქართლი	11.0%	5.7%	46.2%	37.1%
აჭარა	10.9%	9.1%	45.2%	34.8%

კახეთი	15.7%	10.9%	54.3%	19.1%
სამეგრელო	15.5%	9.1%	54.4%	21.0%
ქვემო ქართლი	12.8%	10.8%	46.0%	30.4%
იმერეთი	13.7%	12.7%	47.4%	26.1%
$\chi^2=34,081$ $P=0,00, p<0.01$				

ცხრილი 21. ავადობის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით

კარიესით ავადობის საშუალო მაჩვენებლის (კბა>9,0-13,9) მაღალი ხვედრითი წილი შეინიშნა საქართველოს ყველა რეგიონში, ხოლო აღნიშნული ცვლადის მაღალი მაჩვენებლის (კბა >13,9) ყველაზე მეტი პროცენტულობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაფიქსირდა.

რეგიონების მიხედვით ასევე განისაზღვრა კარიესის გავრცელება. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა ($p=0.01$) (ცხრილი 22):

	რეგიონები										სულ
	თბილისი	მცხეთა-მთიანეთი	გურია	სამცხე-ჯავახეთი	შიდა ქართლი	აჭარა	კახეთი	სამეგრელო	ქვემო ქართლი	იმერეთი	
არ არის კარიესი	11	0	6	0	1	3	4	0	2	5	32
არის კარიესი	374	161	164	191	209	227	226	252	248	286	2338
სულ	385	161	170	191	210	230	230	252	250	291	2370
$\chi^2=19.581, p=.01$											

ცხრილი 22. კარიესის გავრცელება რეგიონების მიხედვით

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს რეგიონებში კარიესის პრევალენტობის შემდეგი მაჩვენებლები აღინიშნა: თბილისი 97%, მცხეთა -მთიანეთი

100%, გურია- 96,5%, სამცხე-ჯავახეთი 100%, შიდა ქართლი -99,5%, აჭარა-98,7%, კახეთი -98,3%, სამეგრელო -100%, ქვემო ქართლი - 99,2%, იმერეთი -98.3%.

კვლევისთვის ასევე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში პაროდონტის დაავადებების გავრცელება რეგიონების მიხედვით. არაპარამეტრული კრუსკალ-უოლესის ტესტი იქნა გამოყენებული რეგიონების მიხედვით ამ პარამეტრის შესაფასებლად. ანალიზმა აჩვენა სტატისკურად სანდო განსხვავება ყველა ცვლადის მიხედვით ($p=0.00, p<.001$)

პირველ რიგში განისაზღვრა ნადების, ქვის და პირს ღრუს ჰიგიენური ინდექსები რეგიონების მიხედვით. შედეგები წარმოდგენილია ცხრილში (ცხრილი 23):

რეგიონი	ცვლადი±სტანდ. გადახრა		
	ნადების ინდექსი	ქვის ინდექსი	პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსი
თბილისი(385)	.38±.5	.23±.37	.61±.82
მცხეთა (161)	.63±.6	.38±.42	1±.94
გურია (170)	.39±.59	.27±.44	.66±.98
სამცხე-ჯავახეთი(191)	.53±.63	.31±.46	.84±1.02
შიდა ქართლი (210)	.54±.75	.37±.6	.91±1.3
აჭარა(230)	.44±.66	.34±.57	.74±1.09
კახეთი (230)	.36±.54	.27±.41	.63±.91
სამეგრელო(252)	.45±.7	.35±.54	.8±1.16
ქვემო ქართლი (250)	.61±.82	.41±.64	1.01±1.4
იმერეთი(291)	.48±.67	.43±.64	.92±1.26

ცხრილი 23 . სამიზნე ცვლადების განაწილება რეგიონების მიხედვით

პირის ღრუს ჰიგიენა შეფასდა როგორც დამაკმაყოფილებელი ყველა რეგიონში. პაროდონტალური სტატუსის შესწავლისას რეგიონების მიხედვით გამოიყო ორი ძირითადი ჯგუფი, ადამიანები ჯანმრთელი პაროდონტის ქსოვილებით და ადამიანები არაჯანმრთელი პაროდონტის მდგომარეობით, კერძოდ, სისხლდენის, პაროდონტალური ჯიბეების ან კბილ-ღრმილოვანი კავშირის დარღვევით. შედეგები წარმოდგენილია ცხრილში (ცხრილი 24):

რეგიონები	თბილისი	მცხეთა	გურია	სამცხ.-ჯავ.	შიდა ქართლი	აჭარა	კახეთი	სამეგრელო	ქვ. ქართლი	იმერეთი
ჯანმრთელი(N)	147	47	75	84	83	64	94	113	96	102
არაჯანმრთელი(N)	238	114	95	107	127	166	136	139	154	189
ჯანმრთელი%	38.2	29.2	44.1	44.0	39.5	27.8	40.9	44.8	38.4	35.1
არაჯანმრთელი%	61.8	70.8	55.9	56.0	60.5	71.7	59.1	55.2	61.6	64.9
სულ	385	161	170	191	210	230	230	252	250	291

ცხრილი 24. პაროდონტალური სტატუსი რეგიონების მიხედვით

შეხებისას სისხლდენა გამოხატული იყო ყველა რეგიონში თითქმის ნახევარზე მეტ პოპულაციაში მაგრამ ყველაზე მეტი ხარისხით გამოიკვეთა გურიაში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში (ცხრილი 25):

	თბილისი	მცხეთა	გურია	სამცხ.-ჯავახ.	შიდა ქართლი	აჭარა	კახეთი	სამეგრელო	ქვ. ქართლი	იმერეთი
სისხლდენა(N)	201	82	114	107	145	132	140	144	171	169

არ არის სისხლდენა(N)	184	79	56	84	65	98	90	108	79	122
სისხლდენა(%)	52.2	50.9	67.1	56.0	69.0	57.4	60.9	57.1	68.4	58.1
არ არის სისხლდენა(%)	47.8	49.1	32.9	44.0	31.0	42.6	39.1	42.9	31.6	41.9
სულ	385	161	170	191	210	230	230	252	250	291

ცხრილი 25. სისხლდენა რეგიონების მიხედვით

რაც შეეხება პაროდონტალური ჯიბეების სიღრმეს და კბილ-ღრმილოვან მიმაგრებას, ამ ცვლადების მიხედვით გამოიყო ასევე 4 ჯგუფი (ცხრილი 26):

- 1) ყველაზე ღრმა პაროდონტალური ჯიბეები (6მმ \geq) შეინიშნა გურიაში, შიდა ქართლში, იმერეთსა და ქვემო ქართლში.
- 2) 0-3მმ სიღრმის ჯიბეები მეტი სიხშირით იქნა წარმოდგენილი აჭარაში, იმერეთსა და ქვემო ქართლში.
- 3) შიდა ქართლსა და აჭარაში პრევალირებდა 4-5 მმ სიღრმის პაროდონტალური ჯიბეები.
- 4) (6მმ \geq) პაროდონტალური ჯიბეები საერთოდ არ განისაზღვრა სამცხე - ჯავახეთისა და სამეგრელოს პოპულაციაში.

პაროდ. ჯიბე	რეგიონები									
	თბილისი	მცხეთა	გურია	სამცხ.- ჯავახ.	შიდა ქართლი	აჭარა	კახეთი	სამეგრე ლო	ქვ.ქარ თლი	იმერეთი
არ არის ჯიბე	258	93	93	143	107	96	123	178	126	124
არ არის ჯიბე(%)	67.0	57.8	54.7	74.9	51.0	41.7	53.5	70.6	50.4	42.6
0-3მმ	121	58	66	42	82	114	91	67	111	143
0-3მმ(%)	31.4	36.0	38.8	22.0	39.0	49.6	39.6	26.6	44.4	49.1
4-5მმ	6	10	8	6	17	19	15	7	10	19
4-5მმ(%)	1.6	6.2	4.7	3.1	8.1	8.3	6.5	2.8	4.0	6.5
6მმ \geq	0	0	3	0	4	1	1	0	3	5

მმ≥ (%)	0	0	1.8	0	1.9	0.4	0.4	0	1.2	1.7
სულ	385	161	170	191	210	230	230	252	250	291

ცხრილი 26. პაროდონტალური ჯიბეების განაწილება რეგიონების მიხედვით

კბილ-ღრძილოვანი შეერთების დარღვევა (LOA) 0-3მმ სიღრმეზე უფრო ხშირი იყო აჭარასა და იმერეთში, LOA 4-5მმ პრევალენტური აღმოჩნდა აჭარაში, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში, ხოლო LOA 6mm≥ უმეტესწილად გურიაში, შიდა ქართლსა და იმერეთში იყო წარმოდგენილი (ცხრილი 27):

LOA	თბილისი	მცხეთა	გურია	სამცხ.-ჯავახ.	შიდა ქართლი	აჭარა	კახეთი	სამეგრელო	ქვ. ქართლი	იმერეთი
მმ(N)	232	87	91	122	108	92	121	158	118	119
მმ(%)	60.3	54.0	53.5	63.9	51.4	40.0	52.6	62.7	47.2	40.9
0-3მმ(N)	146	62	68	63	81	118	93	86	119	146
0-3მმ(%)	37.9	38.5	40.0	33.0	38.6	51.3	40.4	34.1	47.6	50.2
4-5მმ(N)	7	12	8	6	17	19	15	8	10	19
4-5მმ(%)	1.8	7.5	4.7	3.1	8.1	8.3	6.5	3.2	4.0	6.5
6მმ≥(N)	0	0	3	0	4	1	1	0	3	7
6მმ≥(%)	0	0	1.8	0	1.9	0.4	0.4	0	1.2	2.4
სულ(N)	385	161	170	191	210	230	230	252	250	291

ცხრილი 27. კბილ-ღრძილოვანი შეერთების დარღვევა რეგიონების მიხედვით

მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ პაროდონტის ქსოვილების არაანთებადი დაზიანება მოსახლეობის მხოლოდ 4 %-ში შეინიშნებოდა, ამ ცვლადის მიხედვით რეგიონები უმნიშვნელოდ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან სამცხე-ჯავახეთის (11%), სამეგრელოსა და (8,7%) და თბილისის გარდა (6.8%). (ცხრილი 28):

პაროდონტის არაანთებადი დაზიანება										
არ არის(N)	359	155	168	170	210	225	227	231	241	286
არის(N)	26	6	2	21	0	5	3	21	9	5
არ არის(%)	93.2	96.3	98.8	89.0	100.0	97.8	98.7	91.7	96.4	98.3
არის(%)	6.8	3.7	1.2	11.0	0	1.7	1.3	8.3	3.6	1.7

ცხრილი 28 . პაროდონტის არაანთებადი დაზიანება რეგიონების მიხედვით.

ამგვარად, მონაცემთა ანალიზმა გამოავლინა კარიესისა და პაროდონტის ანთებითი დაავადებების ფართო გავრცელება საქართველოს ზრდასრულ პოპულაციაში. კვლევის შედეგად მივიღეთ სტატისტიკურად სანდო განსხვავებები სტომატოლოგიური დაავადებების გავრცელების კუთხით, როგორც სქესისა და ასაკის, ისე ტერიტორიული განაწილების (რეგიონების) მიხედვით . ეს განსხვავებები სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სხვადასხვა რისკ- ფაქტორებთან, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს მოსახლეობის ზოგადი ჯანმრთელობისა და სტომატოლოგიური სტატუსის ჩამოყალიბებაზე. ნაშრომის შემდეგ პუნქტში ჩვენ შევეცადეთ დაგვედინა ეს რისკ -ფაქტორები, რადგან მათი შესწავლა წარმოადგენს ეპიდემიოლოგიური კვლევის მნიშვნლოვან ასპექტს და პრევენციული ღონისძიებების შემუშავების რეალურ ბაზას [127].

3.5 კარიესის და პაროდონტის დაავადებათა კავშირი რისკ-ფაქტორებთან საკვლევ პოპულაციაში

ჩვენი კვლევის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენდა არამარტო სტომატოლოგიურ დაავადებათა სიხშირისა და გავრცელების აღწერა საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში და მათი განაწილება ასაკის, სქესისა და ტერიტორიული განაწილების მიხედვით, არამედ იმის დადგენაც, თუ რომელი ფაქტორები ახდენს მნიშვნელოვან გავლენას სტომატოლოგიურ დაავადებათა გავრცელებაზე. ამისათვის განვახორციელეთ კორელაციები რისკ-ფაქტორებთან.

სტომატოლოგიურ დაავადებათა გავრცელებაში წამყვანი როლი კბილის ნადების მიკრობს და პირის ღრუს ჰიგიენას უკავია, ამიტომ კვლევისათვის საინტერესო იყო ჰიგიენური ჩვევების განსაზღვრა საკვლევ პოპულაციაში. ამისათვის სქესისა და ასაკის მიხედვით გამოყოფილი ჯგუფები შედარდა პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევების მიხედვით, ამ ცვლადთან კორელაციური კავშირის დასადგენად. შედეგებმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ($p < 0.01, p = 0.00$) (ცხრილი 29):

ჰიგიენური ჩვევები	კაცი N (1081)	ქალი N(1289)	ასაკობრივი ჯგუფი				სულ
			20-34წ N(797)	35-44წ N (469)	45-64წ N(854)	65-74წ N(250)	N(2370) 100%
კბ.რეგულ.ხეხვა	984 91%	1267 98,3%	795 99.7%	457 97.4%	799 93.6%	200 80%	2251 95%
არ იხეხავს კბილებს	97 9%	22 1.7%	2 0.3%	12 2.6%	55 6.4%	50 20%	119 5%
ხეხვა დღეში ერთხელ	601 55,6%	343 26.6%	276 34.6%	175 37.3%	370 43.3%	123 49.2%	944 39.8%
ხეხვა დღეში 2-ჯერ	349 32.3%	849 65.9%	472 59.2%	262 55.9%	398 46.6%	66 26.4%	1198 50.5%
ხეხვა დღეში 3-ჯერ	34 3.1%	75 5.8%	47 5.9%	20 4.2%	31 3.6%	11 4.4%	109 4.6%
$\chi^2=326.142$ $P=0.00, p<0.01$			$\chi^2=221.959$ $P=0.00, p<0.01$				

კბილის ძაფის გამოყენება	41 3.8%	114 8.8%	54 6.8%	37 7.9%	61 7.1%	3 1.2%	155 6.5%
$\chi^2=24.543$ P=.000, p<0.001			$\chi^2=13.640$ P=.003, p<0.01				
სავლების გამოყენება	93 8.6%	338 26.2%	129 16.2%	115 24.5%	168 19.7%	19 7.6%	431 18.2%
$\chi^2=122.665$ P=0.00, p<0.01			$\chi^2=34.888$ P=0.00, p<0.01				

ცხრილი 29. ზრდასრული პოპულაციის პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევები სქესისა და ასაკის მიხედვით

პირის ღრუს სხვადასხვა ჰიგიენური მაჩვენებლების შემთხვევაში განისაზღვრა კარიესის გავრცელება და კბა ინდექსის მნიშვნელობა. სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა არასანდო განსხვავება აღნიშნულ ცვალებებს ($p=0,482, p=0,870$ $p>0,05$) შორის, რაც ნიშნავს რომ პირის ღრუს ჰიგიენა არ არის კარიესის გავრცელებისა და ინტენსივობის აბსოლუტური დეტერმინანტი. მნიშვნელობა აქვს სხვა რისკ-ფაქტორებსაც რომლებიც გავლენას ახდენენ კარიესული პროცესის განვითარებაზე.

რადგან სომატური დაავადებები გავლენას ახდენენ სტომატოლოგიურ დაავადებათა ფორმირებაზე, კვლევისათვის საინტერესო იყო ასაკისა და სქესის მიხედვით ამ ზოგად დაავადებათა გავრცელების განსაზღვრა და ასევე კბა ინდექსის მნიშვნელობები ამ პათოლოგიების არსებობისას (ცხრილი 30):

სომატური დაავადებები		სქესი		ასაკობრივი ჯგუფი			
		ქალი	მამაკაცი	20-34წ	35-44წ	45-64წ	65-74წ
ენდოკრინული დაავადებები	ჩიყვი	189 14.7%	16 1.5%	63 7.9%	57 12.2%	72 8.4%	13 5.2%
	დიაბეტი	26 2.0%	33 3.1%	2 0.3%	5 1.1%	35 4.1%	17 6.8%
	ჩიყვი და დიაბეტი	6 0.5%	3 0.3%	0 0%	1 0.2%	6 0.7%	2 0.8%
	$X^2=137.289$, p=0.00, p<0.01		$X^2=75.155$, p=0.00, p<0.01				
კუჭ-ნაწლავის დაავადებები		368 28.5%	163 15.1%	122 15.3	110 23.5	242 28.3	57 22.8
$X^2= 62.998$, p=0.00, p<0.01		$X^2=66.475$, p=0.00, p<0.01					
გულ-სისხლძარღვთა დაავადებები		318 24.7%	193 17.9%	36 4.5	54 11.5	283 33.1	138 55.2

X²=18.199, p=0.00, p<0.01			X²=421.587, p=0.00, p<0.01			
შარდ-სასქესო დაავადებები	57 4.4%	40 3.7%	16 2.0	20 4.3	40 4.7	21 8.4
X ² =3.986 p=0.263			X ² =26.053 p=0.02			
ძვალ-სახსროვანი დაავადებები	197 15.3%	74 6.8%	13 1.6	39 8.3	154 18.0	65 26.0
X²=41.624 p=0.00			X²=170.819, p=0.00, p<0.01			
ნერვული სისტემის დაავადებები	201 15.6%	86 8.0%	65 8.2	48 10.2	149 17.4	25 10.0
X²=55.962, p=0.00, p<0.01			X²=63.715, p=0.00, p<0.01			
სხვა ქრონიკული დაავადება	137 10.6%	54 5.0%	42 5.3	45 9.6	86 10.1	18 7.2
X²=25.178, p=0.00, p<0.01			X²=14.773, p=0.02, p<0.05			

ცხრილი 30. სომატური დაავადებების განაწილება საკვლევ პოპულაციაში სქესისა და ასაკის მიხედვით.

მონაცემთა ანალიზმა გამოავლინა ზოგადი დაავადებების განსხვავებული დონე გამოკვლეულ პოპულაციაში: პოპულაციის 11,5% მიუთითებდა ენდოკრინული დაავადებების არსებობაზე, 22,4%-ს აღენიშნებოდა საჭმლის მომწელებელი სისტემის პრობლემები, 21,6%-ს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ხოლო 11,4%-ს ძვალ-სახსროვანი სისტემის პათოლოგიები (ოსტეოქონდროზი, ართრიტი).

საკვლევ პოპულაციაში ჩიყვი პრევალირებდა ქალებში, ხოლო შაქრიანი დიაბეტი მამაკაცებში. სტატისტიკურად სანდო განსხვავებები აღინიშნა ქალებსა და მამაკაცებში სხვა სომატური დაავადებების მიხედვით, ქალებში დომინირებდა კუჭ-ნაწლავისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ისევე როგორც შარდ-სასქესო, ძვალ-სახსროვანი ნერვული სისტემის და სხვა ქრონიკული დაავადებები.

რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, ენდოკრინული დაავადებებიდან ჩიყვი წარმოდგენილი იყო ყველა ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა პრევალირებდა მეორე ასაკობრივ ჯგუფში(35-44წ), ხოლო შაქრიანი დიაბეტი ყველაზე ხშირად აღენიშნებოდათ 55-64 და 65-74 წლის გამოკვლეულებს. ასაკის მატებასთან ერთად შეინიშნებოდა ზოგადი დაავადებების სიხშირის მატებაც. კუჭ-ნაწლავის დაავადებები უმეტესწილად გამოვლინდა მეორე (23.5%),მესამე (28.3%) და მეოთხე (22.8%) ასაკობრივ ჯგუფებში. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ყველაზე მაღალი

გავრცელება 65-74 წლის ადამიანებში აღინიშნა, ხოლო ყველაზე დაბალი სიხშირით შეგვხვდა 20-34 წლის ადამიანებში.

ზოგადი დაავადებების არსებობისას კბა ინდექსის განსაზღვრამ გამოავლინა სტატისტიკურად სანდო სხვაობები კუჭ-ნაწლავის, ენდოკრინული, გულ-სისხლძარღვთა და ძვალ-სახსროვანი დაავადებების შემთხვევაში (ცხრილი 31):

სომატური დაავადება		კარიესის გავრცელება%	კბა ინდექსი			
			კბა<5,0 აბს. რაოდ %	კბა=5,0-8,9 აბს. რაოდ. %	კბა=9,0-8,9 აბს.რაოდ. %	კბა>13,9
კუჭ-ნაწლავის დაავადება						
აქვს		99,1	7,9	7,0	49,3	35,8
არა აქვს		97,7	14,3	10,3	47,4	28,0
			X²=7.767,p=0.021,p<0.05,p>0.01			
გულ-სისხლძარღვთა დაავადება						
აქვს		99,6	6,3	6,3	40,3	47,2
არა აქვს		97,7	14,4	10,6	49,6	25,3
			X²=40.384,p=0.00,p<0.01			
ძვალ-სახსრ. დაავადება						
აქვს		-	3,3	4,1	46,1	46,5
არა აქვს		-	13,5	10,1	47,2	29,1
			X²=108.468 p=0,00, p<0,01			
ნსდ დაავადებები						
აქვს		-	8,7	7,0	41,8	42,5
არა აქვს		-	13,1	10,0	47,8	29,1
			X² =54.696,p=0,00,p<0,01			
ენდოკრინ. დაავად. აქვს						
	ჩიყვი	-	7,8	6,8	54,1	31,2
	დიაბეტი	-	1,9	6,8	30,5	50,8
	ჩიყვი და დიაბეტი	-	0	22,2	33,3	44,4
ენდ. დაავადება არა აქვს						
		-	13,2	9,8	47,2	29,8
			X²=26.208, p=0.01, p<0,05			
			P=0.228,p>0.01			
			X²=32.628,p=0.008,p<0.01			

ცხრილიდან ჩანს, რომ კარიესის გავრცელება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება კუჭ-ნაწლავისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემთხვევაში

ვიდრე ამ დაავადებების არარსებობისას, ხოლო ყველა ზოგადი დაავადების შემთხვევაში აღინიშნა კბა-ს ზომიერი და მაღალი მაჩვენებლის უფრო მაღალი პრევალენტობა ვიდრე მათ არარსებობისას.

ანკეტა-კითხვარების საფუძველზე გაანალიზებული იქნა რესპოდენტის სამედიცინო აქტივობა- ექიმთან მიმართვის სიხშირე და მიზეზი, ასევე სტომატოლოგთან მიუსვლელობის მიზეზი. მნიშვნელოვანი იყო სქესისა და ასაკის კორელაციური კავშირის დადგენა სტომატოლოგიურ აქტივობასთან, რისთვისაც ასაკობრივი და სქესის მიხედვით გამოყოფილი ჯგუფები შედარდა სტომატოლოგიური აქტივობის და ხელმისაწვდომობის მიხედვით. შედეგებმა აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ($p<0.05, p=0.017$) ($p<0.01, p=0.00$) (ცხრილი 32)

სტომატოლოგ. აქტივობა	სქესი		ასაკობრივი ჯგუფი				სულ
	კაცი N(1081)	ქალი N(1289)	20-34წ N(797)	35-44წ N (469)	45-64წ N(854)	65-74წ N(250)	N(2370) 100%
სტომ. ვიზ. სიხშ.(1 წლის განმავლობაში)							
არ ვყოფილვ.	71.4%	56.3%	55%	55.7%	68.9%	84.4%	63.2%
ერთხელ	16.7%	19.6%	19.6%	24.9%	16.3%	8.8%	18.3%
2-ჯერ	6.6%	13.7%	14.3%	11.1%	8.3%	4.0%	10.4%
3-ჯერ	2.9%	5.1%	6.5%	4.3%	2.7%	0.8%	4.1%
4-ჯერ და მეტჯერ	2.4%	5.3%	4.6%	4.1%	3.9 %	2.0%	4.0%
$\chi^2=5.675, p=0.017, p<0.05$			$\chi^2=112.05, p=0.00p<0.01$				
სტომ. ვიზ. მიზეზი							
პროფ. შემოწმ.	3.1%	5.1%	6.5%	4.9%	2.5%	1.6%	4.2%
ტკივილი ან დისკომფორტი	96.9%	94.9%	93.5%	95.1%	97.5%	98.4%	95.8%
$\chi^2=71.69, P=0.00, p<0.01$			$\chi^2=21.85 P=0.00, P<0.01$				
სტომ. მიუსვლ. მიზეზი							
არ ვთლი საჭიროდ	53%	42.6%	53.7%	42.2%	40.9%	59.3%	47.4%
შიში	11.5%	9.4%	3.4%	11.4%	9.2%	3.2%	10.4%
უფულობა	33.1%	42%	28.7%	41.3%	45.1%	35.5%	37.9%
დაზღვევის არქონა	2.3%	5.8%	3.9%	5.1%	4.7%	1.6%	4.2%

$\chi^2=44.44, p=0.00$ $p<0.01$	$\chi^2=81.18, p=0.00$ $p<0.01$
------------------------------------	---------------------------------

ცხრილი 32 . სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა ასაკისა და სქესის მიხედვით

მიღებული სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ ასაკი და სქესი განსაზღვრავს ადამიანთა სამედიცინო ხელმისაწვდომობას. ქალები უფრო აქტიურად მიმართავენ სტომატოლოგიური მომსახურებას ვიდრე მამაკაცები, თუმცა როგორც ქალების, ისე მამაკაცების და ყველა ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში ექიმთან მიმართვის ძირითადი მოტივი უმთავრესად ტკივილს, დისკომფორტს და გადაუდებელ შემთხვევებს განეკუთვნებოდათ. ასაკის მატებასთან ერთად მცირდება ადამიანთა სტომატოლოგიური აქტივობა, პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევები. კბილების რეგულარული ხეხვა ყველაზე მაღალი სიხშირით იყო წარმოდგენილი პირველ ასაკობრივ ჯგუფში (99,7%) და ყველაზე ნაკლებად ასაკოვნებში (80%), როგორც დენტალური ძაფისა და სავლების გამოყენება (6.8% და 16.2% პირველ ასაკობრივ ჯგუფში, 1.2% და 7.6% მეოთხე ასაკობრივ ჯგუფში შესაბამისად). გარდა ამისა, ასაკოვნები ყველაზე იშვიათად სტუმრობდნენ სტომატოლოგიურ კლინიკებს, რასაც ხსნიდნენ ფინანსური პრობლემებით, ან კბილების არარსებობით. მათ 84,4%-ს ბოლო წლის განმავლობაში არ მიუღია სტომატოლოგიური მომსახურება, მაშინ როდესაც პირველი და მეორე ასაკობრივი ჯგუფების (20-34წწ, 35-44წწ) დაახლოებით 55% უარს აცხადებდა სტომატოლოგთან ვიზიტზე სხვადასხვა მიზეზის გამო ($p=0.00, p<0.01$).

როგორც მრავალი კვლევა ადასტურებს, კვების ხასიათი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა ზოგად ჯანმრთელობაზე და ამ მხრივ შეიძლება პირის ღრუს მდგომარეობაზეც აისახოს. ასაკისა და სქესის მიხედვით განვსაზღვრეთ კვების სიხშირე, შაქრის, რძისა და ხორცის პროდუქტების ხილბოსტნეულის მოხმარება რათა დაგვედგინა კორელაციური კავშირი კვებით ფაქტორებთან (ცხრილი 33):

	სქესი		საკვი			
	კაცი N(1081)	ქალი N(1289)	20-34წ N(797)	35-44წ N (469)	45-64წ N(854)	65-74წ N(250)
ხილ-ბოსტნეულის მოხმარება						
არ მოვიხმარ	1,2	0,5				
კვირასი 1-ჯერ ან იშვიათად	15,9	11,2	-	-	-	-
კვირაში 2-4-ჯერ	49,2	46,2				
ყოველ დღე	33,7	42,1				
$\chi^2=25,670$ $\chi=0,00$, $p<0.01$			$\chi^2=11,048$ $p=0,272$			
კვების რეჟიმი						
არარეგულარულად	19.3%	17.4	19,9	20,3	19,0	6,8
დღეში 1-ჯერ	1.9	2.0	2,0	1,9	2,5	0,4
დღეში 2-ჯერ	26.2	39.7	32,6	36,7	31,7	36,8
დღეში 3-ჯერ	45.1	35.5	40,3	36,9	38,8	48,4
დღეში 4-ჯერ	7.4	5.4	5,1	4,3	8,1	7,6
$X^2=50,916$ $p=0,00$, $p<0.01$			$X^2=43,474$ $p=0,00$, $p<0.01$			
ხორცის პრ. მოხმარება						
არ მოვიხმარ	1,5	2,7	2,8	2,1	1,6	2,0
კვირაში 1-ჯერ ან იშვიათად	37,6	48,1	36,8	35,8	49,9	55,6
კვირაში 2-4-ჯერ	54,0	45,6	55,1	55,2	44,0	39,2
ყოველ დღე	6,9	3,6	5,4	6,8	4,4	3,2
$X^2=40,737$ $p=0,00$, $p<0.01$			$X^2=57,654$ $p=0,00$, $p<0.01$			
რძის პრ. მოხმარება						
არ მოვიხმარ	-	-	6,9	5,5	6,6	2,4
კვირაში ერთხელ			32,2	29,2	36,8	38,4
კვირაში 2-ჯერ			43,7	47,5	45,7	47,6
ყოველ დღე			17,2	17,7	11,0	11,6
$X^2=2,364$ $\chi=0,497$			$X^2=31,497$ $p=0,00$, $p<0.01$			

ტკბილეულის მიღება						
საერთოდ არ ვჭამ	21,6	8,1	8,3	14,1	18,0	20,8
დღეში ერთხელ	51,3	49,9	48,4	48,8	51,8	56,4
დღეში 2-3ჯერ	23,4	35,1	35,8	31,3	25,8	21,2
დღეში 4-ჯერ და მეტად	3,6	7,0	7,5	5,8	4,4	1,6
X²=115,433 p=0,00, p<0.01		X²=74,501 p=0,00, p<0.01				

ცხრილი 33. კვების რეჟიმი და ხასიათი სქესისა და ასაკის მიხედვით საკვლევ პოპულაციაში

მიღებულმა შედეგებმა გამოავლინა სტატისტიკურად სანდო კავშირი ამ ცვლადების მიხედვით. სანდო კავშირი არ აღინიშნა მხოლოდ სქესის მიხედვით რძის პროდუქტების მოხმარების, ხოლო ასაკის მიხედვით ხილ-ბოსტნეულის მოხმარების შემთხვევაში. როგორც ცხრილიდან ჩანს, ტკბილეულის ჭარბი მომხმარებელი უფრო ქალები აღმოჩნდნენ მამაკაცებთან შედარებით, ხოლო ასაკის მიხედვით პირველი და მეორე ასაკობრივი ჯგუფები. რძისა და ხორცის პროდუქტების მოხმარებით ადამიანები ნაკლებად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ისევე როგორც კვების რეჟიმის შემთხვევაში.

ადამიანთა განათლების დონე და ოჯახის მატერიალური შემოსავალი ხშირად განსაზღვრავს ადამიანთა დამოკიდებულებას ჰიგიენური ჩვევებისა და სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობასა თუ სტომატოლოგიური აქტივობის მიმართ. ამ ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად საქართველოს მოსახლეობაში შეფასდა თუ რა გავლენას ახდენს განათლების დონე და მატერიალური შემოსავალი საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის პირის ღრუს მოვლის ჰიგიენურ ჩვევებსა და სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ დამოკიდებულებაზე. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (p=0.00,p<0.01) (ცხრილი 34):

სტომ. აქტივობა და პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევები	განათლება		ოჯახის მატერიალ. შემოსავალი		
	საშუალო	უმაღლე სი	დაბალი	საშუალო	მაღალი

სტომ.ვიზიტის სიხშირე 1 წლის გან.-ში არ ვყოფილვარ ერთხელ 2-ჯერ 3-ჯერ 4-ჯერ და მეტჯერ	79.9% 11.6% 4.8% 2.2% 1.5%	55.8% 20.8% 13.3% 5.0% 5.1%	77.0% 13.7% 5.2% 1.9% 2.3%	57.5% 20.4% 12.6% 5.1% 4.5%	51.7% 13.8% 17.2% 3.4% 13.8%
	p=0.00,p<0.01		p=0.00,p<0.01		
სტომ. ვიზ. მიზეზი პროფ. შემოწმ. ტკივილი ან დისკომფორტი	1.2% 98.8%	5.8% 94.2%	0.9% 99.1%	5.3% 94.7%	20.7% 79.3%
	p=0.00,p<0.01		p=0.00,p<0.01		
სტომ. მიუსვლ. მიზეზი არ ვთლი საჭიროდ შიში უფულობა დაზღვევის არქონა	41.2% 8.4% 49.9% 0.5%	52.1% 11.0% 30.8% 6.1%	33.9% 6.8% 57.3% 2.0%	53.2% 11.9% 29.8% 5.1%	82.6% 13.0% 0% 1.1%
	p=0.00,p<0.01		p=0.00,p<0.01		
(წლის გან-ში ქვის და ნადების მოცილება) არ მივმართავ როცა შევნიშნავ წელ-ში ერთხელ წელ-ში 2-ჯერ	89.9% 7.0% 3.2% 0%	64.1% 22.0% 11.6% 2.2%	83.3% 10.7% 5.4% 0.6%	67.7% 19.9% 10.8% 1.7%	34.5% 37.9% 17.2% 10.3%
	p=0.00,p<0.01		p=0.00,p<0.01		
კბილ. გამოხეხვ.სიხშირე არ იხეხავს კბილებს ხეხვა დღეში ერთხელ ხეხვა დღეში 2-ჯერ ხეხვა დღეში 3-ჯერ	12.8% 61.7% 23.5% 2.0%	1.5% 30.5% 62.3% 5.7%	12.4% 55.2% 29.6% 2.7%	1.9% 33.6% 59.4% 5.1%	0% 20.7% 55.2% 24.1%
	p=0.00,p<0.01		p=0.00,p<0.01		
კბილის ძაფის გამოყენება	1.7%	8.7%	3.9%	7.2%	31.0%
	p=0.00,p<0.01		p=0.00, p<0.01		
სავლების გამოყენება	8%	22.2%	11.3%	20.7%	41.4%
	p=0.00, p<0.01		p=0.00, p<0.01		

ცხრილი 34. პოპულაციის დამოკიდებულება პირის ღრუს ჰიგიენისა და სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ განათლების დონისა და ოჯახის შემოსავლის მიხედვით

სოციალური სტატუსის გავლენის განსაზღვრისათვის კარიესის და პაროდონტის დაავადებებზე, მათი გავრცელება შევისწავლეთ სხვადასხვა განათლების დონისა და სოციალური სტატუსის ადამიანებში. მონაცემები სტატისტიკურად სანდო არ არის ($p>0.01, p>0.05$) (ცხრილი 35)

	განათლება		ოჯახის მატერიალური შემოსავალი		
	საშუალო	უმაღლესი	დაბალი	საშუალო	მაღალი
პაროდონტის მდგომარეობა ჯანმრთელი არაჯანმრთელი	40% 60%	37.1% 62.9%	38.6% 61.4%	38.2% 61.8%	31.0% 69.0%
	p=0.285, p>0.01		p=0.848, p>0.01		
პაროდონტის ანთებადი დაზიანება	56.3%	58.6%	58.4%	57.4%	62.1%
	p=0.538, p>0.01		p=0.928, p>0.01		
პაროდონტის არაანთებადი დაზიანება	3.7%	4.4%	3.0%	4.5%	6.9%
	p=0.478, p>0.01		p=0.318, p>0.01		

ცხრილი 35. პაროდონტის დაავადებების გავრცელება საქართველოს ზრდასრულ პოპულაციაში განათლების დონისა და ოჯახის მატერიალური შემოსავლის მიხედვით.

განათლების მიხედვით სტატისტიკურად სანდო განსხვავებები არ აღინიშნა კარიესის გავრცელებისა ($p=0,405, p>0.05$) და ინტენსივობის მიხედვითაც. ($p=0,087, p>0.05$) რაც ნიშნავს, რომ განათლება უშუალოდ არ განსაზღვრავს კარიესის გავრცელებასა და ინტენსივობას, ხოლო მატერიალური შემოსავლის მიხედვით სტატისტიკურად სანდო განსხვავებების მიღება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ოჯახის მატერიალური შემოსავალი გავლენას ახდენს ამ მაჩვენებლებზე (ცხრილი 36):

	კარიესის გავრცელება %	კარიესის ინტენსივობა

ოჯახის მატერიალური შემოსავალი		ძალიან დაბალი კბა <5,0	დაბალი კბა =5,0-8,9	საშუალო კბა=9,0-13,9	მაღალი კბა> 13,9
დაბალი	99,4				
საშუალო	97,7				
მაღალი	93,1				
		8,0%	7,7%	39,1%	45,2%
		13,8%	10,1%	50,7%	25,3%
		34,5%	13,8%	34,5%	17,2%
	$X^2=12,035,$ $p=0,02, p<0.05$	$X^2=107,815$ $p=0,00, p<0.01$			

ცხრილი 36. კარიესის გავრცელება და ინტენსივობა ოჯახის მატერიალური შემოსავლის მიხედვით

ადამიანები პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევებით და სამედიცინო აქტივობით ასევე შედარდნენ პაროდონტის დაავადებების და კარიესის გავრცელების მიხედვით. ანალიზმა სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ გამოავლინა ($p>0.01$), რაც მიუთითებს, რომ თუნდაც მაღალი სტომატოლოგიური აქტივობა ან დღეში ორჯერ კბილების გახეხვა ვერ აფერხებს კარიესის და პაროდონტის დაავადებათა განვითარებას, რადგან სხვა ფაქტორებიც თამაშობენ გარკვეულ როლს, მათ შორის კბილისა და პაროდონტის ქსოვილების სტრუქტურული არასრულფასოვნება, კარიესის განვითარებისა და ნადების დაგროვების მიმართ ორგანიზმის დაბალი რეზისტენტობა, რომელიც პირის ღრუს კარგი ჰიგიენისა და სტომატოლოგთან მაღალი მიმართვიანობის შემთხვევაშიც კი არ გამორიცხავს კარიესის და პაროდონტის დაავადებათა განვითარებას. თუმცა პირის ღრუს კარგი ჰიგიენა და სტომატოლოგთან დროული და ხშირი ვიზიტი ხელს უშლის კბილების ნაადრევ კარგვას.

კვლევისათვის საინტერესო იყო გაგვეკეთებინა კორელაცია პოპულაციის კვებასა და პაროდონტის დაავადებათა შორის, თუმცა სტატისტიკურმა ანალიზმა ასეთი კავშირის სანდოობა არ გამოავლინა ($p>0.01$)($p>0.05$) მეორეს მხრივ, სტატისტიკურად სანდო მონაცემები მივიღეთ განათლების დონისა და ოჯახის მატერიალური შემოსავლის კავშირის შეფასებისას კვების სიხშირესა და ხასიათთან $p<0.01, p<0.05$) (ცხრილი 37):

	განათლების დონე		ოჯახის მატერიალური შემოსავალი		
	საშუალო	უმაღლესი	დაბალი	საშუალო	მაღალი
ხილ-ბოსტნეულის მოხმარება არ მოვიხმარ კვირაში ერთხელ ან იშვიათად კვირაში 2-4-ჯერ ყოველ დღე	1% 16.3% 50.4% 32.3%	0.8% 11.7% 46.7% 40.9%	0.9% 15.2% 51.8% 32.2%	0.7% 12.7% 46.2% 40.3%	3.4% 6.9% 20.7% 69.0%
	P=0.00,p<0.01		P=0.00,p<0.01		
კვების რეჟიმი არარეგულარულად დღეში 1-ჯერ დღეში 2-ჯერ დღეში 3-ჯერ დღეში 4-ჯერ	- - - -	- - - -	18.5% 2.3% 38.3% 34.9% 6.0%	18.3% 1.9% 31.7% 42.0% 6.2%	13.8% 0% 20.7% 44.8% 20.7%
	P=0.32, p>0.01		P=0.01, p<0.05		
ხორცის პრ. მოხმარება არ მოვიხმარ კვირაში 1-ჯერ ან იშვიათად კვირაში 2-4-ჯერ ყოველ დღე	2.5% 51.7% 41.4% 4.3%	2% 38.3% 54.0% 5.7%	3.4% 61.7% 32.2% 2.7%	1.6% 35.9% 56.5% 6.0%	0% 13.8% 72.4% 13.8%
	P=0.00 ,p<0.01		P=0.00,p<0.01		
რძის პრ. მოხმარება არ მოვიხმარ კვირაში ერთხელ კვირაში 2-ჯერ ყოველ დღე	6.2% 43.8% 39.9% 10.1%	5.7% 28.8% 48.9% 16.5%	8.4% 47.1% 36.1% 8.4%	4.9% 28.8% 49.9% 16.5%	13.8% 6.9% 31.0% 48.3%
	P=0.00, p<0.01		P=0.00,p<0.01		

ტკბილეულის მოხმარება					
არ ვჭამ	20,6	10,8	19,7	11,9	13,8
დღეში ერთხელ	53,2	49,5	52,9	49,9	31,0
დღეში 2-3ჯერ	22,6	32,9	24,5	31,8	41,4
დღეში 4-ჯერ და მეტჯერ	3,5	6,8	2,9	6,4	13,8
P=0.00, P<0.01			P=0.00, P<0.01		
პურ-ფუნთუშეულის მოხმარება					
არ ვჭამ	0,5	2,2	1,1	1,8	10,3
დღეში ერთხელ	10,3	14,9	12,9	14,3	10,3
დღეში 2-3ჯერ	73,0	75,9	72,7	76,1	69,0
დღეში 4-ჯერ და მეტჯერ	16,2	7,0	13,3	7,9	10,3
P=0.00, P<0.01			P=0.00, P<0.01		

ცხრილი 37. კვების ხასიათი და სიხშირე განათლების დონისა და ოჯახის მატერიალური შემოსავლის მიხედვით

ამგვარად, მონაცემები აჩვენებს რომ კვების სიხშირე და ხასიათი პირდაპირ გავლენას არ ახდენს პაროდონტალურ სტატუსზე, მაგრამ განათლების დონე და ოჯახის შემოსავალი განსაზღვრავს საკვების არჩევას და ამ გზით მონაწილეებს ადამიანთა ზოგადი ჯანმრთელობის ჩამოყალიბებაზე და შეიძლება გავლენა იქონიოს პირის ღრუს ჯანმრთელობაზეც.

კარიესისა და პაროდონტის დაავადებების კორელაციების შეფასებისას მნიშვნელოვანი იყო ასევე გაგვესაზღვრა სომატურ დაავადებათა გავრცელება რეგიონების მოსახლეობაში და ამ ადამიანების დამოკიდებულება პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევებისა და სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ (ცხრილი 38):

რეგიონი	ენდოკრინული დაავადებები %			სულ	კ-ნ. დაავ.	გ-ს. დაავ.	ძვ.სახს რ.დაავ	ნ.ს .დ	სხვა ქრ დაავ.
	ჩიყვი	დიაბეტი	ჩიყვი და დიაბეტი						
თბილისი	4.9%	2.1%	0.3%	7,3	18.4%	19.2%	7.8%	4.4%	5.7%
მცხეთა	13.0%	2.5%	0.0%	15,5	29.2%	21.1%	5.6%	17.4%	5.0%
გურია	1.2%	3.5%	0.0%	4,7	24.7%	32.9%	12.9%	14.1%	6.5%
სამცხე-ჯავახეთი	14.1%	4.7%	0.5%	19,3	24.1%	19.9%	4.7%	12.0%	7.9%
შიდა ქართლი	9.5%	2.4%	0.5%	12,4	21.9%	21.0%	5.7%	17.1%	10.5%
აჭარა	10.4%	1.3%	0.0%	11,7	18.7%	13.9%	14.3%	9.6%	9.1%
კახეთი	10.9%	3.0%	0.0%	13,9	29.6%	20.4%	12.6%	13.9%	4.8%
სამეგრელო	9.9%	2.4%	1.2%	13,5	17.1%	25.4%	11.9%	4.8%	14.7%
ქვემო ქართლი	10.0%	2.0%	0.4%	12,4	19.2%	18.0%	16.4%	13.2%	6.4%
იმერეთი	5.8%	2.1%	0.7%	8,6	26.5%	26.5%	19.2%	20.6%	9.6%
p=0,00									

ცხრილი 38. ზოგადი დაავადებების განაწილება საკვლევ პოპულაციაში რეგიონების მიხედვით

როგორც ცხრილიდან ჩანს ენდოკრინული დაავადებები სამცხე-ჯავახეთსა (19,3%) და მცხეთაში (15,5%) იქნა ყველაზე მეტი სიხშირით წარმოდგენილი, ყველაზე მცირე რაოდენობით გურიაში(4,7%). კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სიხშირით მცხეთა(29,2%), კახეთი(29,6%), და იმერეთი (26,5%) გამოირჩეოდნენ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები პრევალირებდა გურიაში (32,9 %), სამეგრელოსა (25,4%) და იმერეთში (26,5%), ძვალ-სახსროვანი დაავადებებით იმერეთი(19,2 %) და ქვემო ქართლი(16,4%) გამოირჩეოდნენ, ხოლო სხვა ქრონიკული დაავადებები პრევალირებდა სამეგრელოში (14,7%).

რეგიონები სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სომატური დაავადებების გავრცელების მიხედვით. აღნიშნული სანდო განსხვავება მივიღეთ სტომატოლოგიური დაავადებების გავრცელების კუთხითაც, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ რომ ტერიტორიული განაწილება და კლიმატო-გეოგრაფიული პირობები (ჰავა, წყალი, ნიადაგი საკვების შემადგენლობა და

სპეციფიკა) გავლენას ახდენს სტომატოლოგიური და სომატური დაავადებების ჩამოყალიბება- გავრცელებაზე.

რეგიონების მიხედვით ადამიანთა სტომატოლოგიურმა აქტივობამ ასევე აჩვენა სტატისტიკურად სანდო განსხვავება (ცხრილი 39):

რეგიონი	სტომატოლოგთან ვიზიტი ბოლო ერთ წელიწადში					სტომატოლოგთან ვიზიტის მიზეზი		სტომატოლოგთან მიუსვლელობის მიზეზი			
	არ ვყოფილვარ	ერთხელ	ორჯერ	3-ჯერ	4-ჯერ და მეტჯერ	პროფილაქტიკა	ტკივილი და დისკომფორტი	არ ვთვლი საჭიროდ	შიში	უფულობა	დაზღვარქონა
თბილისი	55.8%	24.2%	10.1%	4.2%	5.7%	5.7%	94.3%	57.2%	9.3%	30.5%	2.5%
მცხეთა	58.4%	14.3%	16.1%	5.6%	5.6%	1.2%	98.8%	30.2%	12.6%	50.3%	6.9%
გურია	52.4%	25.9%	8.2%	5.3%	8.2%	7.1%	92.9%	47.5%	16.5%	34.2%	1.9%
სამცხე-ჯავახეთი	79.1%	10.5%	7.3%	3.1%	0.0%	0.0%	100.0%	35.6%	12.6%	49.2%	2.1%
შიდა ქართლი	47.6%	21.0%	12.9%	7.6%	11.0%	11.4%	88.6%	56.1%	7.9%	27.5%	8.5%
აჭარა	66.5%	12.2%	13%	4.8%	3.5%	6.1%	93.9%	45.4%	14.8%	35.2%	4.6%
კახეთი	59.6%	19.6%	13.5%	4.8%	2.6%	0.9%	99.1%	53.9%	11.8%	30.7%	3.1%
სამეგრელო	71.4%	17.1%	9.5%	1.6%	0.4%	2.4%	97.2%	43.5%	7.7%	39.4%	9.3%
ქვემო ქართლი	60.4%	23.6%	8.4%	4.4%	3.2%	4.4%	95.6%	58.3%	10.0%	29.6%	1.7%
იმერეთი	78.0%	12.0%	7.6%	1.4%	1.0%	2.4%	97.6%	36.6%	5.3%	55.3%	2.8%

p=0,00

ცხრილი 39 . საკვლივი პოპულაციის სტომატოლოგიური აქტივობა რეგიონების მიხედვით

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მხოლოდ ტკივილის და დისკომფორტის შემთხვევაში აკითხავს სტომატოლოგს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს პრევენციას, თუმცა ამ კუთხით საკმაოდ სანდო სტატისტიკური განსხვავება აღინიშნა რეგიონებში. სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და მცხეთის მოსახლეობის მიერ პროფილაქტიკური შემოწმების მიზნით სტომატოლოგიურ დაწესებულებაში მიმართვის უნარიანობა საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა(სამცხე-ჯავახეთი 0%, კახეთი 0,9% და მცხეთა-მთიანეთი 1,2%) მაშინ როცა, შიდა ქართლის

გამოკვლევული პოპულაციის 11,4% საკმაოდ დიდ უპირატესობას ანიჭებდა პრევენციას.

სამწუხაროდ, საქართველოს ყველა გამოკვლევულ რეგიონში აღნიშნა მოსახლეობის დაბალი სტომატოლოგიური აქტივობა, თუმცა ამ მხრივ გამოირჩეოდნენ სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი და სამეგრელო, სადაც პოპულაციის დიდი ნაწილი (79,1%, 78,0 % და 71,4% შესაბამისად) წლის მანძილზე ერთხელაც არ აღნიშნავდა სხვადასხვა მიზეზების გამო სტომატოლოგთან ვიზიტს. დაბალი სტომატოლოგიური აქტივობის მიზეზი საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა აღმოჩნდა: მცხეთის(50,3%), სამცხე ჯავახეთისა(49,2%) და იმერეთის მოსახლეობისათვის (55,3%) ეს მიზეზი სახსრების უქონლობით განისაზღვრა, ქვემო ქართლის (58,3%), თბილისისა(57,2%), შიდა ქართლის (56,1%) პოპულაციის დიდი ნაწილი კი არ თვლიდა საჭიროდ სტომატოლოგთან ვიზიტს გადაუდებელი შემთხვევის, ძლიერი ტკივილის ან სერიოზული დისკომფორტის აღმოცენების გარეშე.

ცნობილია, რომ პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ღონისძიებების მიმართ არასაკმარისი ყურადღება ხშირად სტომატოლოგიურ დაავადებათა განვითარების მიზეზს, წინაპირობასა და შედეგს წარმოადგენს[127]. როგორც მიზეზს მას დაავადების განვითარებამდე მივყავართ, არასრულფასოვანი ჰიგიენა ხელს უწყობს დაავადების განვითარებასა და პროგრესირებას, შედეგად, პაციენტები ტკივილის, სისხლდენის თუ დისკომფორტის გამო წყვეტენ პირის ღრუს ჰიგიენის დაცვას, რაც თავის მხრივ აუარესებს და ამწვავებს კიდევ დაავადების მიმდინარეობას. ამიტომაც კვლევისათვის ჰიგიენური ჩვევებისა და პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობის შეფასება მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა როგორც განსხვავებული ასაკისა და სქესის ადამიანებში, ისე სხვადასხვა რეგიონების მიხედვით. (ცხრილი 40):

რეგიონი	კბილების ხეხვა				ძაფის გამოყენება		სავლების გამოყენება	
	საერთოდ არ ვიხეხავ	დღეში ერთხელ	დღეში ორჯერ	დღეში სამჯერ	არა	კი	არა	კი
თბილისი	2.1%	31.2%	60.0%	6.8%	88,6	11.4%	79,5	20.5%
მცხეთა	2.5%	26.7%	64.6%	6.2%	91,3	8.7%	68,3	31.7%
გურია	3.5%	28.2%	57.6%	16.5%	91,8	8.2%	82,4	17.6%
სამცხე-ჯავახეთი	7.9%	54.5%	34.6%	3.1%	99,5	0.5%	77,5	22.5%
შიდა ქართლი	7.1%	37.1%	51.4%	4.3%	88,6	11.4%	87,1	12.9%
აჭარა	7.8%	37.4%	48.3%	6.5%	93,5	6.5%	82,2	17.8%
კახეთი	6.1%	40.4%	50.0%	3.5%	95,7	4.3%	87,0	13.0%
სამეგრელო	3.6%	33.3%	60.3%	2.8%	97,6	2.4%	79,4	20.6%
ქვემო ქართლი	6.0%	50.4%	41.2%	2.4%	93,6	6.4%	83,6	16.4%
იმერეთი	5.2%	55.7%	37.8%	1.4%	96,6	3.4%	87,3	12.7%
p=0,00, p<0,001								

ცხრილი 40 . საკვლევი პოპულაციის პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევები რეგიონების მიხედვით

როგორც აღმოჩნდა, რეგიონები სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევების მიხედვით: მცხეთის (64,6%), სამეგრელოს(60,3%) და თბილისის(60,0%) პოპულაციის უმეტესი ნაწილი მნიშვნელობას ანიჭებდა დღეში ორჯერ კბილების გამოხეხვას, ხოლო იმერეთის (55,7%), სამცხე-ჯავახეთისა(54,5%) და ქვემო ქართლის გამოკვლეული კონტინგენტის (50,4%) ნახევარზე მეტ პოპულაციაში პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ღონისძიებები ძირითადად დღის განმავლობაში ერთჯერადი ჰიგიენით განისაზღვრებოდა. სავლების გამოყენება ყველაზე მაღალი სიხშირით იყო წარმოდგენილი მცხეთის პოპულაციაში (31,7%), ყველაზე ნაკლებად კი იმერეთის (12,7%), შიდა ქართლისა(12,9%) და კახეთის მოსახლეობაში(13,0%), კბილის ძაფის გამოყენებით შიდა ქართლი(11,4%) და თბილისი გამოირჩეოდნენ(11,4%), ხოლო ყველაზე ნაკლები მაჩვენებელი (0,5%) დაფიქსირდა სამცხე- ჯავახეთში, რაც კბილის ძაფის როგორც პირის ღრუს ჰიგიენური საშუალების შესახებ ინფორმაციის უქონლობით ან გამოყენების უგულვებელყოფით აიხსნებოდა.

მნიშვნელოვანი იყო შეგვეფასებინა რეგიონების მიხედვით ქვებისა და ნადების მოცილების მიმართ ადამიანთა დამოკიდებულება და მიმართვიანობა სტომატოლოგთან აღნიშნული პროცედურის, როგორც პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ღონისძიების და პაროდონტის დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის მნიშვნელოვანი ეტაპის ჩასატარებლად (ცხრილი 41):

რეგიონი	ქვების და ნადების მოცილება ერთი წლის მანძილზე			
	საერთოდ არ ვიტარებ	როცა შევნიშნავ	წელიწადში ერთხელ	წელიწადში ორჯერ
თბილისი	64.7%	23.1%	10.1%	2.1%
მცხეთა	67.7%	24.2%	6.2%	1.9%
გურია	54.1%	22.9%	20.0%	2.9%
სამცხე-ჯავახეთი	89.0%	9.4%	1.6%	0.0%
შიდა ქართლი	59.0%	24.8%	14.8%	1.4%
აჭარა	71.7%	13.0%	13.0%	2.2%
კახეთი	72.6%	16.1%	9.1%	2.2%
სამეგრელო	76.2%	18.7%	5.2%	0.0%
ქვემო ქართლი	75.6%	13.6%	9.2%	1.6%
იმერეთი	84.5%	9.3%	5.5%	0.7%
სულ	71,9%	17,4%	9,3%	1,5%
p=0,00				

ცხრილი 41. პროფესიონალური ჰიგიენა რეგიონების მიხედვით საკვლევ პოპულაციაში

ქვებისა და ნადების მოცილების მიმართ განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულებით სამცხე-ჯავახეთი (89,0%) და იმერეთი (84.5%) გამოირჩეოდნენ, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გურიაში გამოვლინდა (54,1%), გურიის პოპულაციის 20% წელიწადში ერთხელ მაინც იტარებდა აღნიშნულ პროცედურას, მაშინ როცა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მხოლოდ 1,6% აკითხავდა სტომატოლოგს წელიწადში ერთხელ ნადების მოსაცილებლად, ხოლო წელიწადში ორჯერ ექიმთან ვიზიტის სიხშირე სამცხე -ჯავახეთსა და სამეგრელოში პოპულაციაში 0% -ით განისაზღვრა, სხვა რეგიონებში კი 0,7-2,9%-ით.

სტატისტიკურად სანდო განსხვავება მივიღეთ პირის ღრუს ჰიგიენური მაჩვენებლის მიხედვით რეგიონებში (ცხრილი 42):

რეგიონი	პირის ღრუს ჰიგიენური მაჩვენებელი			
	ჰიგიენა კარგი	დამაკმაყოფილებელი	არადამაკმაყოფილებელი	ცუდი
თბილისი	72.2%	19.0%	5.2%	3.6%
მცხეთა	48.4%	30.4%	12.4%	8.7%
გურია	76.5%	12.9%	4.7%	5.9%
სამცხე-ჯავახეთი	51.3%	29.3%	13.1%	6.3%
შიდა ქართლი	69.5%	11.4%	10.5%	8.6%
აჭარა	77.8%	12.2%	1.7%	8.3%
კახეთი	80.4%	9.6%	4.3%	5.7%
სამეგრელო	65.9%	15.1%	9.1%	9.9%
ქვემო ქართლი	60.0%	20.4%	10.0%	9.6%
იმერეთი	63.4%	20.7%	6.9%	9.0%
სულ	67.3%	17.9%	7.5%	7.4%
p=0.00, p<0.01				

ცხრილი 42. პირის ღრუს ჰიგიენური მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით

ცხრილიდან ჩანს, რომ კარგი ჰიგიენური მაჩვენებელი გამოვლინდა თითქმის ყველა რეგიონში, შედარებით ნაკლებად-მცხეთაში (48,4%). არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენის მხრივ სამცხე-ჯავახეთი და მცხეთის რეგიონი გამოირჩეოდნენ, თუმცა არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენის მაჩვენებელი სულ 7,5% ადამიანებში

განისაზღვრა, ხოლო ცუდი ჰიგიენური მაჩვენებელი -7,4%- ში. რადგან როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, ქვებისა და ნადების მოცილებისათვის ადამიანთა მიმართვიანობა სტომატოლოგთან საკმაოდ დაბალია, სავარაუდოდ ჰიგიენური მაჩვენებლები უნდა დაკავშირებული ყოფილიყო მაღალ კბა და კბა_ზ ინდექსებთან და განსაკუთრებით ამოღებული კბილების მაღალ მაჩვენებელთან, შესაბამისად კბილების არარსებობის შემთხვევაში არ აღინიშნებოდა პირის ღრუში ნადებისა და ქვების არსებობა. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად განვსაზღვრეთ კორელაცია ასაკსა და ჰიგიენურ მდგომარეობას შორის (ცხრილი 43):

ასაკობრივი ჯგუფი	პირის ღრუს ჰიგიენური მაჩვენებელი			
	ჰიგიენა კარგი	დამაკმაყოფილებელი	არადამაკმაყოფილებელი	ცუდი
20-34	66.5%	19.9%	7.7%	5.9%
35-44	65.5%	14.7%	9.4%	10.4%
45-64	66.5%	18.3%	7.6%	7.6%
65-74	75.9%	15.7%	2.8%	5.6%
სულ	67.3%	17.9%	7.5%	7.4%

ცხრილი 43 . პირის ღრუს ჰიგიენის მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

პირველ ასაკობრივ ჯგუფში, სადაც გამოვლინდა ყველაზე დაბალი კბა ინდექსი - 7.02 ± 4.55 ხოლო დაკარგული კბილების საშუალო მაჩვენებელი 1.11 ± 1.77 შეადგენდა, კარგი ჰიგიენა პოპულაციის 66,5%- ში განისაზღვრა, ხოლო მეოთხე ასაკობრივ ჯგუფში კბა ინდექსი 19.61 ± 8.9 აღმოჩნდა, დაკარგული კბილების საშუალო რაოდენობა კი- 8.45 ± 9.6 . კარგი ჰიგიენის მაჩვენებელი ამ ჯგუფის ადამიანთა 75,9% -ში დაფიქსირდა, რაც მიუთითებს უკბილობის გამო ქვებისა და ნადების არარსებობაზე და შედეგად კარგი ჰიგიენური მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე.

რეგიონები ასევე შედარდა კვების რეჟიმის, ხასიათის, სიგარეტის მოხმარების

მიხედვით (ცხრილი 44):

	რეგიონები									
	თბილისი	მცხეთა	გურია	სამცხე-ჯავახეთი	შიდა ქართლი	აჭარა	კახეთი	სამეგრელო	ქვემ. ქართლი	იმერეთი
ხილ-ბოსტნეულის მოხმარება										
არ მოვიხმარ	0,8	1,9	1,2	0,5	0,5	0	0,4	0,4	2,0	0,7
კვირასი 1-ჯერ ან იშვიათად	5,5	14,3	10,6	11,0	15,2	12,2	14,8	11,5	15,6	24,7
კვირასი 2-4-ჯერ	46,2	55,96	24,7	60,2	47,1	52,2	51,7	53,2	34,8	49,1
ყოველ დღე	47,5	28	63,5	28,3	37,1	35,7	33,0	34,9	47,6	25,4
X²=168.468 p=0.00,p<0.01										
კვების რეჟიმი										
არარეგულარულად	19,2	21,1	23,5	16,8	24,8	18,7	18,7	20,2	13,6	10,3
დღეში 1-ჯერ	0,8	1,9	5,3	1,6	4,8	1,7	0,9	0,4	2,0	2,4
დღეში 2-ჯერ	31,2	30,4	25,3	38,2	27,1	32,2	34,3	33,7	30,4	47,8
დღეში 3-ჯერ	43,6	41,0	37,1	37,2	36,7	39,6	40,9	38,5	48,4	33,7
დღეში 4-ჯერ	5,2	5,6	8,8	6,3	6,7	7,8	5,2	7,1	5,6	5,8
X²=89.262 p=0,00,p<0.01										
ხორცის პრ. მოხმარება										
არ მოვიხმარ	2,1	0,6	2,9	1,6	1,4	3,0	1,3	2,0	0,8	4,8
კვირასი 1-ჯერ ან იშვიათად	29,1	34,2	34,7	43,5	50,0	52,6	47,8	38,1	41,6	62,2
კვირასი 2-4-ჯერ	61,0	60,9	55,9	52,4	41,9	40,9	47,4	52,4	50,8	32,3
ყოველ დღე	7,8	4,3	6,5	2,6	6,7	3,5	3,5	7,5	6,8	0,7
X²=141.714 p=0,00, p<0.01										
რძის პროდუქტ. მოხმარება										
არ მოვიხმარ	7.0%	2.5%	8.8	4.7				3.6		
კვირასი ერთხელ	29.4	32.9	21.2	34.0	4.8	4.3	5.2	28.6	7.2	10.0
კვირასი 2-ჯერ	46.0	58.4	42.9	53.9	42.4	30.4	40.0	56.7	30.4	47.4
ყოველ დღე	17.7	6.2	27.1	7.3	36.7	50.4	40.0	11.1	40.4	35.7
					16.2	14.8	14.8		22.0	6.9
X²=145.593 p=0.00,p<0.01										

ტკბილეულის მიღება										
საერთოდ არ ვჭამ	15,8	8,1	20,0	15,7	12,9	12,2	15,2	8,3	17,6	15,5
დღეში ერთხელ	43,9	44,1	51,8	41,4	55,2	51,7	57,0	41,7	52,4	64,9
დღეში 2-3ჯერ	33,8	41,0	24,1	37,2	24,3	29,1	23,9	42,1	25,2	18,9
დღეში 4-ჯერ და მეტად	6,5	6,8	4,1	5,8	7,6	7,0	3,9	7,9	4,8	0,7
X²=111.654 p=0,00,p<0.01										
სიგარეტის მოხმარება										
არ ვწევ	66.2	73.9	68.2	75.9	64.3	57.4	70.9	81.0	75.2	68.4
რამდენიმე ღერი	13.0	16.1	8.8	6.8	12.9	17.4	16.1	6.0	7.6	8.6
ერთი კოლოფი	14.8	5.0	17.6	15.2	14.8	16.5	11.7	8.3	14.8	17.9
2 კოლოფი და მეტი	6.0	5.0	5.3	2.1	8.1	8.7	1.3	4.8	2.4	5.2
X²=93.257 , p=0,00,p<0.01										

ცხრილი 44. რეგიონების შედარება კვების რეჟიმის, ხასიათის, სიგარეტის მოხმარების მიხედვით

როგორც ცხრილიდან ჩანს, აღნიშნული ცვლადების მიხედვით რეგიონები სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სიგარეტის მოხმარების მიხედვით გამოირჩეოდა აჭარა(42,6%), ხოლო ყველაზე ნაკლებად იყო წარმოდგენილი სამეგრელოს რეგიონში (19%). სიგარეტის მოხმარება ასევე შემოწმდა ასაკისა და სქესის მიხედვით. ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკვლეული ადამიანების 30,1 % თამბაქოს მოიხმარდა, სიგარეტის მოხმარებლები ძირითადად მამაკაცები აღმოჩნდნენ, ხოლო ყველაზე ნაკლები მოხმარებელი მეოთხე ასაკობრივი ჯგუფი(18,4%). გარდა ამისა, კაცების 39.3% და ქალების მხოლოდ 1.7% ძლიერ აქტიურ მწევებს წარმოადგენდა (1 კოლოფი და მეტი დღეში) (p=0.00,p<0.01).

ტკბილეულის გამოყენება ყველაზე მეტი იყო მცხეთასა და სამეგრელოში, ხოლო რძის პროდუქტების ყველაზე ხშირ მოხმარებლებს გურიისა და ქვემო ქართლის მაცხოვრებლები წარმოადგენდნენ, ხორცის ძირითად მოხმარებლებს კი თბილისისა და მცხეთის მოსახლეობა შეადგენდა. სტატისტიკურად სანდო განსხვავება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სხვადასხვა რეგიონში ადამიანები განსხვავდებიან საკვების შემადგენლობისა და ხასიათის, კვების რეჟიმის მიხედვით,

რაც გავლენას ახდენს მათი ზოგადი ჯანმრთელობის ჩამოყალიბებაზე და მნიშვნელოვანი ფაქტორია პირის ღრუს ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის.

თავი 4. საკუთარი კვლევის შედეგების განხილვა

ასაკისა და სქესის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა სანდო განსხვავება დაბჟენილი ($p=0.00$) და ამოღებული კბილების მაჩვენებლის მიხედვით ($p = 0.003$), რაც ნიშნავს, რომ ქალები და მამაკაცები სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დაბჟენილი და ამოღებული კბილების რაოდენობით. სტატისტიკურად სანდო სხვაობა არ აღინიშნა კარიესით დაზიანებული კბილების შემთხვევაში ($p = 0,828$, $p > 0.05$) რაც მიუთითებს, რომ კარიესი თანაბრად აზიანებს ქალებსა და მამაკაცებს, ხოლო განსხვავება დაბჟენილი და ამოღებული კბილების რაოდენობაში შეიძლება აიხსნას ქალების მიერ კბილების მოვლის მიმართ მეტი ყურადღებით მამაკაცებთან შედარებით, ასევე ჯანმრთელი და ლამაზი ღიმილის, სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულებით.

კბა, კბა_ზ ინდექსები ქალებში და მამაკაცებში ზომიერი აღმოჩნდა, თუმცა დაბჟენილი კბილების რაოდენობა პრევალირებდა ქალებში, რაც მიუთითებს ქალების მიერ სტომატოლოგიური მომსახურების მისაღებად მეტ მიმართვიანობაზე. გარდა ამისა, სოციოლოგიურ კითხვარებში კაცები უფრო ხშირად აღნიშნავდნენ სტომატოლოგიური მანიპულაციების მიმართ შიშს, რაც წარმოადგენს სტომატოლოგთან მიუსვლელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, მაშინ როცა

დენტალური მომსახურების დროულად მიღების ხელშეშლელ ფაქტორად სახსრების დეფიციტს უფრო ხშირად ქალები ასახელებდნენ . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სქესი არ თვლიდა სტომატოლოგთან ვიზიტს საჭიროდ სანამ მწვავე ტკივილი, კვებასთან ან ღიმილთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები არ წარმოიშობოდა და ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ პრევენციას.

ქცევითი ფაქტორები და უფულობა განსაზღვრავს კბა და კბა_ზ მალალ მაჩვენებლებს ორივე სქესის წარმომადგენლებში. ისინი გადადებენ სტომატოლოგიურ მომსახურებას, სანამ კბილები არ დაიშლება ისე, რომ შეუძლებელი ხდება მათი აღდგენა, რასაც საბოლოოდ კბილების დაკარგვამდე მიყვავართ. ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ მამაკაცები და ქალები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დაკარგული კბილების რაოდენობით, თუმცა ჰიგიენური ჩვევებისა და სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება განსაზღვრავს დაბჟენილი კბილების შედარებით მალალ მაჩვენებელს ქალებში.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შემდეგი შემდეგი მაჩვენებლები გამოიკვეთა: მეოთხე ასაკობრივ ჯგუფში (65 -74წწ) კარიესის მალალი გავრცელება და ინტენსივობა აღინიშნა, რომელიც ძირითადად განისაზღვრა დაკარგული კბილების რაოდენობით, მაშინ როცა, დაბჟენილი კბილების წილი საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა. მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის უმეტესი ადამიანები ბოლო წლის განმავლობაში არ ყოფილან სტომატოლოგთან, მხოლოდ ტკივილის ან დისკომფორტის შემთხვევაში აკითხავდნენ მას, არ იყენებდნენ დენტალურ ძაფს ან არ იცოდნენ მისი არსებობის შესახებ, უარყოფდნენ სტომატოლოგთან ვიზიტს პროფილაქტიკური შემოწმებისათვის, ისევე როგორც პირის ღრუს ჰიგიენას, რასაც ხსნიდნენ საკუთარი კბილების არარსებობით ან სიმცირით, რომლებიც მათი აზრით არ საჭიროებდა მოვლა- ყურადღებას.

ანალიზმა აჩვენა, რომ ასაკოვნებში პირის ღრუს ჯანმრთელობა დაბალია მატერიალური სიდუხჭირის, დაბალი სტომატოლოგიური ხელმისაწვდომობისა და აქტივობის, პირის ღრუს ჯანმრთელობის შესახებ შედარებით მწირი ინფორმაციის არსებობის გამო. უმეტესი მათგანი, განსაკუთრებით კი რეგიონების მაცხოვრებლები

უპირატესობას ანიჭებდნენ მტკივნეული ან დაზიანებული კბილების ამოღებას, ვიდრე მათ მკურნალობას ან რესტავრაციას, რასაც მივყავართ უფრო მეტ დაკარგული კბილების მაჩვენებლების არსებობასთან დაბუნელი კბილების მაჩვენებელთან შედარებით.

მესამე ასაკობრივ ჯგუფში(45-64წწ) ასევე კარიესის მაღალი გავრცელება და მაგრამ ზომიერ ინტენსივობა აღინიშნა, რომელიც განისაზღვრა დაკარგული კბილების უფრო მაღალი მაჩვენებლით დაზიანებული და დაბუნელი კბილების რაოდენობასთან შედარებით. ამ ასაკის ადამიანთა ნახევარზე მეტი მათი პირის ღრუს ჯანმრთელობის მდგომარეობას უკავშირებდა სახსრების არარსებობას და მხოლოდ ტკივილის და დისკომფორტის შემთხვევაში აკითხავდა ექიმს, ხოლო ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ უსარგებლია სტომატოლოგის მომსახურებით.

გამოკვლევული პოპულაციის დაახლოებით ნახევარი ორჯერ იხეხავდა კბილებს, ხოლო უმეტესი ნაწილი საერთოდ არ იყენებდა ფლოსს ან სავლებს, როგორც ჰიგიენურ საშუალებას, ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ დენტალურ მომსახურებას ზოგად დაავადებებთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ან განიხილავდნენ თავიანთ პრობლემებს ნაკლებად აქტუალურად შვილების პრობლემებთან შედარებით, რაც უბიძგებდა მათ სტომატოლოგიური მომსახურების გადაღებას, სანამ არ აღნიშნებოდათ პირის ღრუს სერიოზული პრობლემები. ამგვარად, ფინანსური ფაქტორი აღმოჩნდა გადამწყვეტი დაკარგული კბილების შედარებით მაღალი და დაბუნელი კბილების შედარებით დაბალი მაჩვენებლების ჩამოყალიბებაში აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა ინდივიდუალური დამოკიდებულება პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევებისა და დენტალური მომსახურების მიმართ ასევე მნიშვნელოვანია.

მეორე ასაკობრივ ჯგუფში კარიესის შედარებით ნაკლები ინტენსივობა აღინიშნა, თუმცა კბა ინდექსის მნიშვნელობა ძირითადად განსაზღვრული იქნა დაზიანებული და დაკარგული კბილების რაოდენობით, მაშინ როდესაც დაბუნელი კბილების მაჩვენებელი ნაკლებად იყო გამოხატული. სტატისტიკურმა ანალიზმა გამოაშკარავა, რომ გამოკვლევულთა თითქმის ნახევარი არ ყოფილა სტომატოლოგთან გასული წლის განმავლობაში, ხოლო მათი უმეტესი ნაწილი მხოლოდ ტკივილის და

დისკომფორტის შემთხვევაში იღებდა სტომატოლოგიურ მომსახურებას. რაც შეეხება პირის ღრუს ჰიგიენას, ამ ასაკის ადამიანების ნახევარში შეინიშნებოდა კბილების ხეხვის სიხშირე ორჯერ დღეში, თუმცა ძაფის როგორც პირის ღრუს ჰიგიენის ერთ-ერთი საშუალების გამოყენება უმეტესად უგულვებელყოფილი იყო. დაბალი სტომატოლოგიური აქტივობა სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამო, პროფილაქტიკური შემოწმების იგნორირება სავარაუდოდ განსაზღვრავს კბა და კბა_ზ მაჩვენებლებსამ ასაკობრივ ჯგუფში, ისევე როგორც დაზიანებული და დაკარგული კბილების პრევალენტობას დაბუნებულ კბილებთან შედარებით. თუმცა პირის ღრუს ჰიგიენის მიმართ შედარებით პოზიტიური დამოკიდებულება უნდა იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი აღნიშნული მაჩვენებლების ნაკლები მნიშვნელობების ჩამოყალიბებაში უფროს ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით.

პირველ ასაკობრივ ჯგუფში (20-34წწ) ყველაზე დაბალი გავრცელება და ინტენსივობა აღინიშნა, დაკარგული კბილების მაჩვენებლის ყველაზე დაბალი მნიშვნელობით, თუმცა აქაც კარიესის ინტენსივობა ძირითადად განისაზღვრა კარიესით დაზიანებული კბილების რაოდენობით, ხოლო დაბუნებულ კბილების ინდექსის პრევალირება დაკარგული კბილების რაოდენობაზე მიუთითებს სტომატოლოგიური მომსახურების მისაღებად ახალგაზრდა ადამიანთა მეტი აქტივობაზე. ისინი თავიანთ დენტალურ სტატუსს განიხილავენ მათი გარეგნობის მნიშვნელოვან ფაქტორად, რადგან გარეგნობა ამ ასაკის ადამიანთა მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს. ამით შეიძლება აიხსნას სტომატოლოგთან ვიზიტის მეტი სიხშირე და მეტი დაბუნებულ კბილების რაოდენობა აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა ეკონომიკური ფაქტორი აქაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის ადამიანთა დიდი ნაწილი არ მუშაობს და ფინანსურად დამოკიდებულია მშობლების შემოსავალზე, რაც გადავადებული სტომატოლოგიური მომსახურების და საბოლოოდ კბილების კარგვის მიზეზი ხდება, თუმცა შედარებით პოზიტიური დამოკიდებულება პირის ღრუს ჰიგიენის მიმართ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კარიესის ნაკლები გავრცელებისა ამ ასაკობრივ ჯგუფში ($p<0.01, p=0.00$).

მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მოსახლების 65.9% აღნიშნავდა უმაღლესი, ხოლო 25.4% საშუალო განათლების არსებობას, 69.3% თავიანთ შემოსავალს თვლიდა საშუალოდ, 29.5% უჭიოდა ფინანსურ ხელმოკლეობას და მხოლოდ 1.2% იყო კმაყოფილი საკუთარი მატერიალური უზრუნველყოფით ($p=0.00, p<0.01$). განათლების დონე და მატერიალური შემოსავალი გარკვეულწილად განსაზღვრავს განსხვავებებს პირის ღრუს ჰიგიენასა და სტომატოლოგიურ აქტივობაში ($p=0.00, p<0.01$), თუმცა სხვადასხვა ასაკის ადამიანთა სხვადასხვა მიზეზის გამო არაპოზიტიური დამოკიდებულება სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ წარმოადგენს კარიესის მაღალი გავრცელებისა და ინტენსივობის გადამწყვეტ რისკ-ფაქტორს. „არ ვთლი საჭიროდ თუ არაფერი მაწუხებს“ - დამოკიდებულება დაკავშირებულია გადავადებულ სტომატოლოგიურ მომსახურებასთან, კბილის ქსოვილების სერიოზულ დაზიანებასთან და საბოლოოდ კბილების კარგვის მიზეზი ხდება. ტკივილი და დისკომფორტი ფინანსური ფაქტორის გათვალისწინებით აიძულებს ადამიანებს მიმართონ დაზიანებული კბილების ექსტრაქციას, ვიდრე დათანხმდნენ მათ მკურნალობასა და რესტავრაციაზე, განსაკუთრებით ადამიანები დაბალი სამედიცინო განათლების დონითა და მატერიალური შემოსავლით, რასაც მივყავართ დაკარგული კბილების შედარებით მაღალი მაჩვენებლის ჩამოყალიბებასთან.

რაც შეეხება შაქრის მოხმარებას, გამოკვლეული პოპულაციის 85,7% იღებდა ტკბილეულს, უფრო მეტიც 20-34 წლის ადამიანები, განსაკუთრებით კი ქალები აღმოჩნდნენ შაქრის უფრო ხშირი მომხმარებლები. ქალების 35,1%, ხოლო მამაკაცების 23,4% დღეში 2-3-ჯერ მიირთმევდა ტკბილს, ხოლო ახალგაზრდა ადამიანთა თითქმის ნახევარი (46,5%) დღის მანძილზე ნახშირწყლების 4 -ჯერ და მეტჯერ მომხმარებელი აღმოჩნდა ($p=0.00, p<0.01$).

რეგიონებში გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკურმა ანალიზმა გამოავლინა ყველა რეგიონში კარიესის მაღალი გავრცელება და ზომიერი ინტენსივობა, თუმცა კარიესით ავადობით გამოირჩეოდა მცხეთა -მთიანეთი (13.26 ± 5.97), გურია (12.79 ± 8.92), სამცხე-ჯავახეთი (12.62 ± 8.44), შიდა ქართლი (12.03 ± 7.22) და აჭარა (12.23 ± 7.89). შედარებით დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა

თბილისში(11.64±7.8), ქვემო ქართლში(10.96±7.07), იმერეთში (10.79±7.63), სამეგრელოსა (10.54±7.95) და კახეთში (9.86±7.02).

დაზიანებული კბილების რაოდენობით ლიდერობდნენ მცხეთა- მთიანეთი (4.26±3.51), სამცხე- ჯავახეთი (3.52±3.51) და იმერეთი (3.05±3.1). დანარჩენი რეგიონები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით თბილისი- 2.41±2.7, გურია 2.35±2.83, შიდა ქართლი 2.69±2.98, აჭარა 2.32±2.91, კახეთი 2.77±2.86, სამეგრელო 2.56±2.67, ქვემო ქართლი 2.57±2.97.

ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებები არ აღინიშნა ამოღებული კბილების რაოდენობის მიხედვით: თბილისი- 4.52±6.54, მცხეთა-მთიანეთი- 4.07±4.1, გურია- 5.49±7.42, სამცხე-ჯავახეთი- 5.31±6.97, შიდა ქართლი- 4.90±6.39, აჭარა- 5.32±6.73, კახეთი- 3.00±4.01, სამეგრელო-4.15±6.12, ქვემო ქართლი-4.96±5.6, იმერეთი- 3.42±4.21, თუმცა შედარებით მაღალი აღნიშნული მაჩვენებელი დაფიქსირდა გურიაში- 5.49±7.42, სამცხე-ჯავახეთსა 5.31±6.97 და აჭარაში 5.32±6.73.

დაბუნელი კბილების შედარებით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდნენ მცხეთა 2.62±3.05, შიდა ქართლი 2.39±2.8 და თბილისი 2.28±2.09 სხვა გამოკვლეულ რეგიონებთან შედარებით: გურია- 1.86±2.71, სამცხე- ჯავახეთი- 1.24±1.97, აჭარა- 1.76±2.43, კახეთი- 1.68±2.32, სამეგრელო- 1.20±1.77, ქვემო ქართლი- 1.60±2.38, მაშინ როდესაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იმერეთში შეინიშნა - 0.67±1.39.

ჩიყვის ენდემური კერის არსებობა შესაძლოა იყოს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და რისკ-ფაქტორი კარიესის გავრცელებისა გურიაში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთსა და აჭარაში, თუმცა მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ კარიესით დაზიანებული კბილების რაოდენობა მაღალი იყო მცხეთაში, სამცხე-ჯავახეთსა და იმერეთში, ხოლო სხვა რეგიონები დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ამ მაჩვენებლის მიხედვით. ეს დაკავშირებულია სხვა რისკ-ფაქტორების ზეგავლენასთან- პოპულაციის დაბალი სტომატოლოგიური აქტივობა, პირის ღრუს ჰიგიენა, შაქრის ჭარბი მოხმარება. მცხეთის პოპულაციის 50.3% ასახელებდა უფულობას, როგორც სტომატოლოგიური მომსახურების მიღების ხელშემშლელ პირობას, მაშინ როცა 30,2% არ განიხილავდა სტომატოლოგთან

რეგულარულ ვიზიტს საჭიროების გარეშე, 98,8% სტუმრობდა დანტისტს მხოლოდ ტკივილის ან დისკომფორტის შემთხვევაში, 64,4% იხეზავდა კბილებს 2-ჯერ დღეში, 26,7% - დღეში ერთხელ, 2,55 % საერთოდ უარყოფდა კბილების გამოხეხვას და მხოლოდ 8,7% იყენებდა კბილის ძაფს.

ამგვარად, არადაამაკმაყოფილებელი მატერიალური შემოსავალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მცხეთის მოსახლეობაში კარიესის მაღალ გავრცელებასა და ინტენსივობაში, რადგან ადამიანებს არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა რეგულარულად მოუარონ კბილებს და მხოლოდ ტკივილის ან უკვე სერიოზული დაზიანების შემთხვევაში აკითხავენ სტომატოლოგს, როცა კბილის გადარჩენა დაგვიანებული და შეუძლებელია, თუმცა პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევების და საშუალებების შესახებ ინფორმაციის და ცოდნის სიმწირე ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

იმერეთის პოპულაციის 78% არ ყოფილა სტომატოლოგთან ბოლო ერთი წლის განმავლობაში. 97,6% განიხილავდა ტკივილს და დისკომფორტს როგორც სტომატოლოგიური კლინიკის მიმართვიანობის ძირითად მიზეზს, 36,6% თვლიდა დენტალურ მომსახურებას არასაჭიროდ, სანამ სერიოზული პრობლემები არ აღნიშნებოდათ. 55,3% უჩიოდა დაბალ შემოსავალს, თუმცა ქცევითი ფაქტორები, უმთავრესად პირის ღრუს ჰიგიენის ნაკლებობა აღმოჩნდა ასევე მნიშვნელოვანი კარიესის გავრცელებაში იმერეთის პოპულაციაში, რადგან 37,8% კბილებს იხეზავდა რეგულარულად 2-ჯერ, 55,7%- დღეში ერთხელ, 5,2% საერთოდ იგნორირებდა კბილების გამოხეხვას, ხოლო 96,6% არ იყენებდა ან არ ფლობდა ინფორმაციას დენტალური ძაფის არსებობის ან მნიშვნელობის შესახებ.

რაც შეეხება სამცხე -ჯავახეთის პოპულაციას გამოკვლეული ხალხის 79,6% არ ყოფილა სტომატოლოგთან ბოლო ერთი წლის მანძილზე, 100% ექიმს აკითხავდა მხოლოდ ტკივილისა და დისკომფორტის შემთხვევაში, 49,7% ასახელებდა უფულობას, როგორც სტომატოლოგთან მიმართვიანობის ხელშემშლელ პირობას, 35,6% არ თვლიდა საჭიროდ ექიმთან ვიზიტს თუ არაფერი აწუხებდა, ხოლო 12% აღნიშნავდა შიშს სტომატოლოგიური პროცედურების მიმართ, 34,6% კბილების ხეხვის პროცედურას დღეში ორჯერ მიმართავდა, 54,5% დღეში ერთხელ, 7,9%

საერთოდ უარყოფდა კბილების წმენდას და მხოლოდ 0,5% იყენებდა ფლოსს როგორც პირის ღრუს ჰიგიენურ საშუალებას ან საერთოდ იცოდა მისის არსებობის შესახებ.

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს დავუშვათ, რომ კარიესის გავრცელება და ინტენსივობის მაღალი მაჩვენებლები სამცხე-ჯავახეთის პოპულაციაში განპირობებული უნდა იყოს არა მარტო არადამაკმაყოფილებელი პირის ღრუს ჰიგიენით ან ფინანსური ხელმოკლეობით, არამედ ასევე დაბალი ზოგადი სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლების დონითა და ინფორმაციის სიმწირით.

კარიესის გამო დაკარგული კბილების რაოდენობა შედარებით მაღალი აღმოჩნდა გურიაში (5.49 ± 7.42), აჭარასა (5.32 ± 6.73) და სამცხე-ჯავახეთში (5.31 ± 6.0). გურიის მოსახლეობის 92,9%, 100% სამცხე-ჯავახეთში და 93,9% აჭარაში სტომატოლოგთან ვიზიტს მიმართავდა მხოლოდ ტკივილის და დისკომფორტის შემთხვევაში, უმეტესი მათგანი საერთოდ არ ყოფილა სტომატოლოგთან ერთი წლის განმავლობაში (გურიაში - 52,4%, სამცხე-ჯავახეთში - 79,6%, აჭარაში - 66,5%).

ფინანსური ხელმოკლეობა, როგორც სტომატოლოგიური მომსახურების მიუღებლობის ძირითად მიზეზს აღნიშნავდა მხოლოდ გურიის მოსახლეობის 34,2%, სამცხე-ჯავახეთის 49,7% და აჭარის 35,2%, მაშინ როცა 47,5% გურიაში, 35,6% სამცხე-ჯავახეთში და 45,4% აჭარაში აუცილებლად არ თვლიდა სტომატოლოგთან ვიზიტს თუ ამის საჭიროება არ აღინიშნებოდა. გურიის პოპულაციის 57,6% კბილებს იხეხავდა დღეში ორჯერ, 28,2% -დღეში ერთხელ, 3,5% იგნორირებდა კბილების ხეხვის პროცედურას და მხოლოდ 8,2% იყენებდა დენტალურ ძაფს. სამცხე-ჯავახეთში შემდეგი მაჩვენებლები გამოვლინდა: კბილების ხეხვის სიხშირე დღეში ორჯერ აღინიშნა 34,6% -ის, ხოლო დღეში ერთხელ 54,5% -ს მიერ, 7,9% საერთოდ უარყოფდა კბილების წმენდას, ხოლო ძაფის არსებობის შესახებ ინფორმაცია და გამოყენება მხოლოდ 0,5%-ში აღინიშნებოდა. რაც შეეხება აჭარის რეგიონს კბილების ხეხვა დღეში ორჯერ კონსტატირებულ იქნა პოპულაციის 48,3%-ში, დღეში ერთხელ 37,4%-ში, 7,8% საერთოდ უარყოფდა კბილების ხეხვის პროცედურას, ხოლო დენტალური ფლოსის გამოყენება აღინიშნებოდა მოსახლეობის 6,5%-ში.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაკარგული კბილების შედარებით მაღალი მაჩვენებელი გურიასა და აჭარაში უფრო მეტად დაკავშირებულია ქცევით ფაქტორებთან, დაბალ სამედიცინო განათლების დონესა და პრევენციული ღონისძიებების უგულვებელყოფასთან, გადავადებულ დენტალურ მომსახურებასთან, რომელიც კბილების ძლიერ დაზიანებას იწვევს და ისინი ექვემდებარება ექსტრაქციას, რასაც საბოლოოდ უკბილობამდე მივყავართ, თუმცა ფინანსური ხელმოკლეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის კარიესის გავრცელებაში, ისევე როგორც არაპოზიტიური დამოკიდებულება დენტალური მომსახურების მიმართ. თანხების უქონლობა უბიძგებს ადამიანებს მტკივნეული და დაზიანებული კბილების ექსტრაქციისაკენ რასაც დაკარგული კბილების მაჩვენებლის მაღალი მნიშვნელობის ჩამოყალიბებასთან მივყავართ.

დაბჭენილი კბილების საშუალო მაჩვენებელი ყველაზე მაღალი აღმოჩნდა შიდა ქართლში (2.39 ± 2.8), თბილისში (2.28 ± 2.09) და მცხეთა - მთიანეთში (2.62 ± 3.05), ამასთან შიდა ქართლის მოსახლეობის 52,9%-მა, 44,2%-მა თბილისში და 41,6% -მა მცხეთაში ჩაიტარა სტომატოლოგიური მომსახურება ერთი წლის განმავლობაში. პოპულაციის 94,3% თბილისში, 98,8% მცხეთასა და 88,6% შიდა ქართლში მხოლოდ ტკივილის და დისკომფორტის შემთხვევაში აკითხავდა სტომატოლოგს, თბილისის მოსახლეობის 30,5% და 27,5% შიდა ქართლში გადავადებულ სტომატოლოგიურ მომსახურებას უკავშირებდა სახსრების უქონლობას, მაშინ როცა მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის 50,3% ამ მიზეზს ასახელებდა მათი ნაკლები სტომატოლოგიური აქტივობის წამყვან ფაქტორად, თუმცა მათი დიდი ნაწილი პირის ღრუს ჰიგიენას მეტ ყურადღებას აქცევდა (სხვა რეგიონებთან შედარებით). აღნიშნული რეგიონის გამოკვლეული პოპულაციის 64,6% ორჯერ იხეხავდა კბილებს რეგულარულად, ხოლო 8,7 % იყენებდა დენტალურ ძაფს. თბილისის მოსახლეობის 60,0 % და შიდა ქართლის 51,4% პირის ღრუს ჰიგიენას კბილების რეგულარული დღეში ორჯერ ხეხვით ახორციელებდა. (დღეში ერთხელ კბილის ჯაგრისის გამოყენება 31.2% თბილისის და 37.1% შიდა ქართლის პოპულაციაში აღინიშნა). ასევე დენტალური ძაფის გამოყენების ყველაზე მაღალი სიხშირე სწორედ ამ რეგიონებში გამოიკვეთა: 29.0%- თბილისში და 15,5 % -შიდა ქართლში. მიღებული

მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ ეს პოზიტიური დამოკიდებულება პირის ღრუს ჰიგიენისა და დენტალური მომსახურების მიმართ განსაზღვრავს დაბუნებული კბილების შედარებით მაღალ მაჩვენებელს თბილისში, მცხეთასა და შიდა ქართლში მიუხედავად კბა და კბა_ზ ინდექსების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებისა აღნიშნულ რეგიონებში.

და ბოლოს, ქცევითი ფაქტორები არადადამაკმაყოფილებელი პირის ღრუს ჰიგიენა, დაბალი სტომატოლოგიური აქტივობა, ზოგადი სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლების თუ ინფორმაციის ნაკლებობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კბილის კარიესის გავრცელებაში საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში, თუმცა ეკონომიკური ფაქტორი ასევე არსებითად განსაზღვრავს ნაკლებ ხელმისაწვდომობას სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ, გადავადებულ სტომატოლოგიურ სერვისს და საბოლოოდ კბილების დაკარგვას.

მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა გამოავლინა არა მარტო კარიესის, არამედ პაროდონტის დაავადებათა მნიშვნელოვანი გავრცელებაც საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში. არაჯანმრთელი პაროდონტი აღინიშნა მოსახლეობის 62%-ში, სისხლდენა- 41%-ში, პაროდონტალური ჯიბეები- 44% -ში, ხოლო კბილ-ღრძილოვანი კავშირის დარღვევა 47%-ში შეინიშნა. პაროდონტის არაანთებადი დაზიანება მხოლოდ 4 %-ში გამოიკვეთა. ამასთან, არაჯანმრთელი პაროდონტი უფრო მეტად წარმოდგენილი იყო მამაკაცებში, ვიდრე ქალებში, ისევე როგორც შეხებისას სისხლდენა, პაროდონტალური ჯიბეები და კბილ-ღრძილოვანი კავშირის დარღვევა. მამაკაცებში უფრო ხშირი აღმოჩნდა პაროდონტის ქსოვილის არამარტო ანთებადი დაზიანება არამედ არაანთებადიც. სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა პაროდონტის დაავადებების უფრო მეტი გავრცელება კაცებში და პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსის დაბალი მაჩვენებელი $OHI(1.22\pm 1.43)$ ქალებთან შედარებით $(.54\pm .76)$ ($p<0.01, p=0.00$) რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია ქალების უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებასთან პირის ღრუს ჰიგიენის და სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ (ქალების 65.9% კბილებს იხეხავდა დღეში ორჯერ, ხოლო მამაკაცების 32,3% ($p=0.00, p<0.01$)). კითხვარებმა გამოავლინა მამაკაცების ნაკლები მიმართვიანობა ქალებთან შედარებით ($p<0.01, p=0.00$). გარდა ამისა მამაკაცების

უფრო მეტი ნაწილი (39.3%) აღმოჩნდნენ აქტიური მწევრელები (1 კოლოფი და მეტი დღეში) ვიდრე ქალები (1.7%), რაც შეილება იყოს მამაკაცებში პაროდონტის დაავადებათა მაღალი გავრცელების ერთ-ერთი პრედიქტორი.

ასაკის მიხედვით შემდეგი მაჩვენებლები გამოვლინდა: ჯანმრთელი პაროდონტის ქსოვილები უფრო მეტად წარმოდგენილი იყო პირველ ასაკობრივ ჯგუფში (20-34წწ), ხოლო არაჯანმრთელი პაროდონტის ქსოვილი უმთავრესად მეორე (35-44წწ), მესამე (45-64წწ) და მეოთხე (65-74წწ) ასაკობრივ ჯგუფებში. პაროდონტალურ ჯიბეების სიღრმით 0-3მმ მეტი სიხშირით იქნა წარმოდგენილი მთელ გამოკვლეულ პოპულაციაში ვიდრე სხვა სიღრმის ჯიბეები და ყველაზე ნაკლებად პირველ ასაკობრივ ჯგუფში, მაშინ როცა $\geq 4-5$ მმ სიღრმის ჯიბეები უმეტესად გამოიკვეთა მესამე და მეოთხე ასაკობრივ ჯგუფში. სისხლდენა შეხებისას ყველაზე ხშირი აღმოჩნდა მეორე და მესამე ასაკობრივ ჯგუფებში და ყველაზე ნაკლებად ასაკოვნებში (65-74წწ).

პაროდონტის დაავადება წლების განმავლობაში განიხილებოდა ასაკოვანი ხალხის დაავადებად, მაგრამ ჩვენმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ სხვადასხვა ხარისხით ის ყველა ასაკობრივ ჯგუფშია წარმოდგენილი. გვხვდება ახალგაზრდებშიც და ფართოდაც არის გავრცელებული, რაც დიდადაა დაკავშირებული პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევების, ქვებისა და ნადების კონტროლის, პაროდონტის დაავადებათა პრევენციისა და მკურნალობის მიმართ ადამიანთა დამოკიდებულების ინდივიდუალურ თავისებურებებთან. პოპულაციის უმრავლესობა მესამე და მეოთხე ასაკობრივ ჯგუფებში კბილებს დღეში ერთხელ იხეხავდა, წლების მანძილზე არ იტარებდა ქვებისაგან კბილების გაწმენდის პროცედურას და უარყოფდა სავლების ან დენტალური ძაფის გამოყენებას, მათი უმეტესი ნაწილი უჩიოდა უფულობას ან არ თვლიდა სტომატოლოგთან ვიზიტს საჭიროდ პირის ღრუს სერიოზული პრობლემების აღმოცენებამდე, ამით შეიძლება აიხსნას პაროდონტის დაავადებათა მაღალი გავრცელება ამ ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა ზოგადი დაავადებების არსებობა და პრევალენტობა აღნიშნული ასაკის ადამიანებში, განსაკუთრებით კი საჭმლის მომნელებელი და ენდოკრინული სისტემის პრობლემები უნდა იქნას მხედველობაში მიღებული პაროდონტის

დაავადებათა და ღრძილებიდან სისხლდენის შეფასებისას, რაც სხვადასხვა ხარისხით იქნა გამოხატული ყველა ასაკობრივ ჯგუფში, განსაკუთრებით კი 35 წლიდან. როგორც მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები უმეტესად აღინიშნა მეორე (23.5%), მესამე (28.3%) და მეოთხე (22.8%) ასაკობრივ ჯგუფებში, ისევე როგორც ენდოკრინული სისტემის დაავადებები - ჩიყვი და შაქრიანი დიაბეტი (13.5%, 13.2% და 12.8% შესაბამისად) ხოლო ნაკლებად იქნა წარმოდგენილი ახალგაზრდებში (20-34წ) - (8,2%) $p=0.00, p<0.01$. პაროდონტის ანთებადი დაზიანება სხვადასხვა ხარისხით გამოიხატა ყველა ასაკის ადამიანში, მაშინ როცა არაანთებადი დაზიანება ძირითადად ასაკოვნებში გამოიკვეთა.

პაროდონტის დაავადებათა გავრცელებაზე სოციალური სტატუსის გავლენის შესასწავლად სხვადასხვა განათლების დონისა და ოჯახის შემოსავლის მქონე ადამიანები შევადარეთ ერთმანეთს პაროდონტის დაავადებათა გავრცელების მიხედვით, რათა გვეპოვა კორელაციური კავშირები ამ ცვლადებს შორის. ანალიზმა არ გამოავლინა სტატისტიკურად სანდო სხვაობა განათლების დონისა და მატერიალური შემოსავლის მიხედვით ($P>0.01, 0.05$) რაც მიუთითებს, რომ ადამიანთა განათლების დონე და ფინანსური ხელმოკლეობა პირდაპირ გავლენას არ ახდენს პაროდონტის დაავადებათა გავრცელებაზე, თუმცა სტომატოლოგიური აქტივობისა და პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევების მიხედვით მიღებულმა სტატისტიკურად სანდო განსხვავებამ სხვადასხვა განათლებისა და მატერიალური სტატუსის ადამიანთა შორის ($p=0.00, p<0.01$) მოგვცა საშუალება დავასკვნათ, რომ განათლების დონე და მატერიალური სტატუსი განსაზღვრავს ადამიანთა დამოკიდებულებას სტომატოლოგიური მომსახურების და პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევების მიმართ და მათ ხელმისაწვდომობას სტომატოლოგიური მომსახურების მისაღებად.

დაბალი განათლების დონის მქონე უფრო მეტი ადამიანი არ ყოფილა სტომატოლოგთან ბოლო წლის განმავლობაში, უჩიოდა მატერიალურ სიდუხჭირეს, როგორც სტომატოლოგიური აქტივობის ძირითად ხელშემშლელ ფაქტორს, უგულვებელყოფდა წლის მანძილზე კბილის ქვებისა და ნადების მოცილებას და

პროფილაქტიკურ შემოწმებას, კბილების ხეხვას ან ძაფის და სავლების გამოყენებას, ვიდრე ადამიანები უმაღლესი განათლებით. რაც შეეხება მატერიალური შემოსავალს, ფინანსურად ხელმოკლე ადამიანების უფრო მეტი ნაწილი არ ყოფილა სტომატოლოგთან ერთი წლის მანძილზე, უარყოფდა რეგულარულ პროფილაქტიკურ შემოწმებას ან ქვებისა და ნადების მოცილებას, რასაც ხსნიდა სახსრების უქონლობით, თუმცა პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენა (სავლებისა და ძაფის გამოყენების დაბალი სიხშირისა და დღეში მხოლოდ ერთხელ კბილების ხეხვის გამო) გამოარჩევდა ამ ადამიანებს საშუალო ან მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანებისაგან.

მატერიალურად უზრუნველყოფილი ადამიანები არ ასახელებდნენ სახსრების უქონლობას სტომატოლოგიური აქტივობის შემაფერხებელ გარემოებად, მაგრამ უმეტესი ნაწილი მხოლოდ ტკივილისა და დისკომფორტის შემთხვევაში აკითხავდა სტომატოლოგს. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ მათი გაცილებით მეტი ნაწილი აქცევდა ყურადღებას რეგულარულ სტომატოლოგიურ შემოწმებას და პირის ღრუს დაავადებათა პრევენციას, ისევე როგორც პირის ღრუს ჰიგიენას დაბალი შემოსავლების ადამიანებთან შედარებით.

განათლების დონე და ოჯახის შემოსავალი ასევე განსაზღვრავს ადამიანთა კვებას. ადამიანები მაღალი განათლების დონითა და მატერიალური შემოსავლით აღმოჩნდნენ ხორცისა და რძის პროდუქტების უფრო ხშირი მომხმარებლები, ვიდრე დაბალი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ადამიანები, ხოლო ხილ-ბოსტნეულის მოხმარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სხვაობა არ აღინიშნა, თუმცა მატერიალურად უზრუნველყოფილი და უმაღლესი განათლების ადამიანების უმეტესი ნაწილი ამ პროდუქტების ყოველდღიურ მომხმარებლად მოგვევლინა. როგორც მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა კვების ხასიათი პირდაპირ ზეგავლენას არ ახდენს პაროდონტალური სტატუსის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ განათლების დონე და შემოსავალი განსაზღვრავს საკვების არჩევას და მნიშვნელოვანია ზოგადი ჯანმრთელობისათვის, ამ გზით შესაძლოა გავლენა იქონიოს პირის ღრუს ჯანმრთელობაზეც.

უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსებისა და განათლების დონისაგან დამოუკიდებლად, საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სტომატოლოგიურ მომსახურებას იღებს მხოლოდ ტკივილისა და დისკომფორტის შემთხვევაში და ნაკლები ყურადღება ექცევა პრევენციას.

ამ ყველაფერმა შესაძლოა გავლენა იქონიოს პირის ღრუს ჰიგიენურ სტატუსზე, მაგრამ არ არის ადამიანთა პირის ღრუს ჯანმრთელობის მდგომარეობის აბსოლუტური დეტერმინანტი, რადგან სხვა მრავალი ფაქტორი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამიტომაც არის, რომ პაროდონტის დაავადება განიხილება როგორც მულტიფაქტორული და ხშირად გამოხატავს ერთმანეთთან შერწყმული ზოგადი პრობლემებისა და მდგომარეობების მანიფესტაციას, როგორცაა ზოგადი დაავადებები, საცხოვრებელი და სამუშაო პირობები, სტრესი და სხვა. ამის დასამტკიცებლად ჩვენ შევაფასეთ პაროდონტის დაავადებათა გავრცელება საქართველოს რეგიონებში, რომლებიც სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და გარემო პირობების გავლენის ქვეშ იმყოფებიან და ვიპოვეთ სტატისტიკურად სანდო განსხვავებები პაროდონტის დაავადებათა გავრცელებაში. სხვადასხვა რეგიონში ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კვების ხასიათით და სპეციფიკით, საკვების შემადგენლობით (განსხვავებული წყლის, ნიადაგის, ჰაერის არსებობის გამო), ასევე ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებებით, კლიმატური, საცხოვრებელი და სამუშაო პირობების, ცხოვრების რიტმის და სტილის მიხედვით, რაც გარკვეულწილად გავლენას ახდენს ზოგად და პირის ღრუს ჯანმრთელობაზე.

ცნობილია, რომ ლანდშაფტისა და კლიმატის განსხვავებები არსებითად ზემოქმედებს დანარჩენ გეოგრაფიულ კომპონენტებზე (ნიადაგი, ფლორა, ფაუნა) [128], ამ გზით მონაწილეობს საკვებისა და წყლის ბიო-ელემენტების შემცველობის მრავალფეროვნებაზე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში და გავლენას ახდენს ადამიანის ზოგად ჯანმრთელობაზე, გარდა ამისა განსხვავებული კლიმატო-გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავს ზოგადი დაავადებების ჩამოყალიბებასა და მათი ტერიტორიული განაწილების თავისებურებებს და ამ მხრივ დაკავშირებულია პირის ღრუს ჯანმრთელობასთან.

მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა გამოავლინა პაროდონტის დაავადებათა მაღალი გავრცელება ყველა გამოკვლეულ რეგიონში: აჭარა 71.7%, მცხეთა-მთიანეთი 70.8%, იმერეთი 64.9%, ქვემო ქართლი 61.6%, თბილისი 61.8%, შიდა ქართლი 60.5% გურია 55.9%, სამცხე-ჯავახეთი 56.0%, კახეთი 59.1%, სამეგრელო 55.2%.

ღრძილებიდან სისხლდენა ჯიბეების გარეშე გამოხატული იყო უფრო მეტად შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და გურიაში, მაშინ როცა პაროდონტალური ჯიბეების განაწილებამ სიღრმის მიხედვით აჩვენა, რომ მთელ პოპულაციაში უფრო ხშირად შეინიშნა 0-3 მმ სიღრმის ჯიბეები, განსაკუთრებით კი აჭარაში, იმერეთსა და ქვემო ქართლში (49.6, 49.1% და 44.4% შესაბამისად) ვიდრე სხვა რეგიონებში, ისევე როგორც კბილ-ღრძილოვანი შეერთების დარღვევა და ღრძილის რეცესია 0-3 მმ სიღრმეზე (აჭარაში 51.3%, იმერეთში 50.2, 47,6% ქვემო ქართლში). პაროდონტის ანთებადი დაავადებების გავრცელების ძირითადი მიზეზების დასადგენად შეფასებული იქნა ადამიანთა დამოკიდებულება პრევენციული ღონისძიებებისა და ჰიგიენური ჩვევების მიმართ. კითხვარებიდან მიღებული მონაცემების სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა სტატისტიკურად სანდო განხვავება შესადარებელ ჯგუფებს შორის სამიზნე ცვლადების მიხედვით $p=0.00(p<0.01)$ როგორც მონაცემებმა გვიჩვენა, შიდა ქართლის პოპულაციის 59.0%-ს არ ჩაუტარებია ქვებისა და ნადების მოცილება ბოლო ერთი წლის განმავლობაში, 14.8 % მიმართავდა ამ პროცედურას წელიწადში ერთხელ და მხოლოდ 1.4%- წელიწადში ორჯერ. პოპულაციის 51.4% დღეში ორჯერ იხეხავდა კბილებს, 37.1% დღეში ერთხელ და 7.1% საერთოდ უარყოფდა კბილების წმენდას, ხოლო 87.1% პირის ღრუს სავლების გამოყენებას.

ამგვარად, მონაცემებმა აჩვენა შიდა ქართლის მოსახლეობის არცთუ პოზიტიური დამოკიდებულება პირის ღრუს ჰიგიენისა და დენტალური მოსახურების მიმართ. პირველი უნდა დაკავშირებული იყოს დაბალი სამედიცინო განათლების დონესთან და პირის ღრუს ჰიგიენის საჭიროებისა და მნიშვნელობის უგულვებელყოფასთან, ხოლო დაბალი სტომატოლოგიური აქტივობის მიზეზები სხვადასხვა აღმოჩნდა: პოპულაციის 27.5% ასახელებდა უფულობას, 7.9% - შიშს

დენტალური პროცედურების მიმართ, 8.5% უჩიოდა დაზღვევის არარსებობას, ხოლო 56.1% არ თვლიდა სტომატოლოგთან ვიზიტს აუცილებლად საჭიროების გარეშე.

ქვემო ქართლის პოპულაციის 75,6%-ს არ მოუცილებია კბილის ქვა და ნადები წლის მანძილზე, 9.2% წელიწადში ერთხელ, 1.6% წელიწადში ორჯერ მიმართავდა აღნიშნულ პროცედურას, 50.4 % კბილებს იხეხავდა დღეში ერთხელ, 83.6% არ იყენებდა სავლებს. პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევების საჭიროება და ცოდნა, ისევე როგორც სტომატოლოგიური აქტივობა დაბალი აღმოჩნდა დაბალი სამედიცინო განათლებისა და დენტალური პროცედურების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამო. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის პოპულაციის 58.3% არ განიხილავდა სტომატოლოგთან ვიზიტს აუცილებლად სერიოზული საჭიროების გარეშე, 10%-ს აღენიშნებოდა შიში დენტალური პროცედურების მიმართ, 1.7% უჩიოდა დაზღვევის არარსებობას და მხოლოდ 29.6% მიუთითებდა ფინანსურ ხელმოკლეობას.

რაც შეეხება გურიას, 54.1% არ მოუცილებია ქვები და ნადები ერთი წლის განმავლობაში, 20 % წელიწადში ერთხელ მიმართავდა კბილის ნადების მოცილების პროცედურას, და მხოლოდ 2.9%- ორჯერ წელიწადში.

კბილების ხეხვის სიხშირე დღეში ორჯერ კონსტატირებულ იქნა 57.6% შემთხვევაში. გურიის მოსახლეობაში აღინიშნა უფრო პოზიტიური დამოკიდებულება ჰიგიენური ჩვევების მიმართ, ვიდრე სხვა ზემოთაღნიშნულ რეგიონებში, თუმცა ნაკლები ხელმისაწვდომობა სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ მნიშვნელოვანი ფაქტორია პაროდონტის დაავადებათა განვითარებაში: 34.2% უსახსრობის გამო ვერ მიმართავდა სტომატოლოგთან ვიზიტს და პირის ღრუს სანაციას, 16.5% აღენიშნებოდა შიში, 1.9% უჩიოდა დაზღვევის არარსებობას, ხოლო 47.5% გამორიცხავდა სტომატოლოგთან ვიზიტს მნიშვნელოვანი საჭიროების გარეშე.

აჭარის პოპულაციის 71.7% არ მოუცილებია ქვები და ნადები ბოლო ერთი წლის განმავლობაში, 37,4% დღეში ერთხელ იხეხავდა კბილებს და 48.3% - ორჯერ დღეში, 82.2% არასოდეს იყენებდა პირის ღრუს სავლებს.

სტომატოლოგიური აქტივობა საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა აჭარის პოპულაციაში სხვადასხვა მიზეზის გამო. ამ მიზეზებიდან 35.2% ასახელებდა უფულობას, 14.8% შიშს, ხოლო 45.4% განიხილავდა სტომატოლოგთან ვიზიტის არასაჭიროებას ტკივილის ან დისკომფორტის არარსებობის შემთხვევაში.

იმერეთის პოპულაციის გამოკვლევამ შემდეგი მაჩვენებლები გამოავლინა: პოპულაციის 84.5% არ იცილებდა ნადებს ერთი წლის განმავლობაში, 55.7% იხეზავდა კბილებს დღეში ერთხელ, 37.8% დღეში ორჯერ, 87.3% უგულვებელყოფდა სავლების გამოყენებას, ხოლო 5.2% -კბილების ხეხვას. მონაცემები მიუთითებს იმერეთის მოსახლეობის დაბალ სტომატოლოგიურ აქტივობასა და უარყოფით დამოკიდებულებაზე ჰიგიენური ჩვევების მიმართ. სტომატოლოგიური მომსახურების ნაკლები ხელმისაწვდომობა უმეტესად დაკავშირებული იყო მატერიალურ სიდუხჭირესთან, რადგანაც 55.3% ასახელებდა ოჯახის დაბალ შემოსავალს სტომატოლოგთან მიუსვლელობის მიზეზად, 5.3% უჩიოდა შიშს დენტალური პროცედურების მიმართ, 2.8% დაზღვევის არარსებობას, 36.6% უარყოფდა სტომატოლოგთან ვიზიტს ტკივილთან ან დისკომფორტთან დაკავშირებული საჭიროების გარეშე.

რეგიონებთან შედარებით თბილისში შემდეგი მაჩვენებლები დაფიქსირდა: თბილისის პოპულაციის 64.9% არ იტარებდა ქვების მოცილების პროცედურას წლის განმავლობაში, 9.9% -წელიწადში ერთხელ, 2.1% - წელიწადში ორჯერ. კბილების ხეხვის სიხშირე დღეში ორჯერ თბილისის პოპულაციის 69.4%-ში განისაზღვრა, ხოლო დღეში ერთხელ - 24.2%-ში.

დედაქალაქის მოსახლეობაში შეინიშნა დენტალური და სამედიცინო ინფორმაციის თუ მომსახურების მეტი ხელმისაწვდომობა რეგიონებთან შედარებით, თუმცა სტომატოლოგიური აქტივობა აქაც საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა. თბილისის პოპულაციის 30.5% უფულობას ასახელებდა სტომატოლოგთან მიუსვლელობის მიზეზად, 9.3% ჰქონდა შიში, 2.5% უჩიოდა დაზღვევის არარსებობას, 57.2 % უგულვებელყოფდა სტომატოლოგთან ვიზიტს საჭიროების გარეშე. ეს შესაძლებელია დაკავშირებული იყოს დაბალ სამედიცინო განათლების

დონესა და სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ არაპოზიტიურ დამოკიდებულებასთან დედაქალაქშიც კი.

პაროდონტის დაავადებათა გავრცელებაში განსხვავება საქართველოს რეგიონებში დაკავშირებული უნდა იყოს სხვადასხვა რისკ-ფაქტორებთან, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ დაავადებათა განვითარებაზე, პირის ღრუს ჰიგიენიური ჩვევებისა და სტომატოლოგიური აქტივობის გარდა თამბაქოს წევა, ზოგადი დაავადებების არსებობა, წყლის, ნიადაგის, საკვების სპეციფიკა და შემადგენლობა, ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებები, კლიმატო-გეოგრაფიული პირობები, საცხოვრებელი თუ სამუშაო პირობები ის ფაქტორებია, რომელთა სხვადასხვაობა განსაზღვრავს განსხვავებებს პირის ღრუსა და ზოგადი ჯანმრთელობის ჩამოყალიბებაში რეგიონების მიხედვით.

დასკვნა

კვლევის მონაცემების სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა კარიესის მაღალი გავრცელება და ზომიერი ინტენსივობა საქართველოს ზრდასრულ პოპულაციაში. დაბალი ფინანსური მდგომარეობით, სხვადასხვა სომატური დაავადებების არსებობითა და სტომატოლოგიური მომსახურებისა და პირის ღრუს ჰიგიენის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებით ასაკოვანი ადამიანები სტომატოლოგიური დაავადებების განვითარების უფრო მეტი რისკის ქვეშ იმყოფებიან და პირიქით, ახალგაზრდა ასაკი უფრო ნაკლებად მიდრეკილია კარიესის განვითარებისადმი პირის ღრუს მოვლისა და ჰიგიენის მიმართ უფრო პოზიტიური დამოკიდებულების გამო. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კარიესის გავრცელებაში მცირე სხვაობების მიუხედავად კარიესის გავრცელება მთლიან პოპულაციაში ძალიან მაღალია და ვარირებს 96-100% ფარგლებში რეგიონების მიხედვით.

ასევე მაღალია პაროდონტის დაავადებათა გავრცელება საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში. პაროდონტის დაავადებათა მხრივაც 35 წელს გადაცილებული ადამიანები და მამაკაცები გამოირჩევიან, ხოლო ახალგაზრდები ნაკლებად მიდრეკილნი არიან პაროდონტის ქსოვილებში ანთების განვითარებისადმი.

